თავისუფალი საქართველო

№6

24 - 30 მარტი
1995 წ.

ინდექსი 66421

ფასი 700 რუბლის
შესაბამისი კუპონი

გაზეთი
რეგისტრირებულია
იუსტიციის სამინისტროს
მიერ
სარეგისტრაციო მოწმობის
№ 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთი: ოფიციოზი კვლავ ქალებ სამიზნეს ირჩევს

ედუარდ შევარდნაძეს და საქართველოს ტელევიზიას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გაიმარჯვა სეპარატისტულმა ტენდენციამ და ანტიქართულმა კურსმა, უნდათ რომ შემოიღონ აფხაზეთის მოქალაქეობის კანონი, მიღებულია მრავალი არაკონსტიტუციური აქტი, შეიქმნა აფხაზეთის გვარდია, მოიხსნა ქართველი მინისტრების უმრავლესობა, რაც პირდაპირი შედეგია თქვენს მიერ მოწყობილი პუტჩისა და გადატრიალებისა, კანონიერი კონსტიტუციის ვითომდაც შეჩერებისა, ძველი კონსტიტუციის ვითომდაც აღდგენის. კანონიერი ხელისუფლების იგნორირებისა. საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ჩანერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი, სამართლებრივად განსაზღვრულია მისი დაქვემდებარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ამ კონსტიტუციის შეჩერებით თქვენ ჩაიდინეთ უდიდესი დანაშაული ქართველი ერის წინაშე, რითაც აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩამოაშორეთ საქართველოს. აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფალნი იმით ამართლებენ თავიანთ სეპარატიზმს, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუცია აღარ არსებობს, ხოლო ძველში აფხაზეთის ავტონომია საერთოდ არ არის ნახსენები.

გიცხადებთ კატეგორიულ პროტესტს და ვგმობ თქვენს მოღალატურ ნაბიჯს, რომელმაც საქართველოს დააკარგვინა ძირძველი აფხაზეთი და სამაჩაბლო. მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს მთლიანობის დარღვევისთვის, მისი ლიბანიზაციისთვის გეკისრებათ თქვენ და თქვენს ხუნტას, ე. წ. სახელმწიფო საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
9 მაისი, 1992 წელი

"აფხაზეთის ომის წამოიწყებნიც და სეპარატისტებიც რუსეთის მიზნების განხორციელებას უწყობენ ხელს"

ზვიად გამსახურდია
10 იანვარი, 1993
"საქართველოს სამრეკლო", N2(4), 1993

ვითარება აფხაზეთში კვლავ დაიძაბა. საქართველოს მმართველთა უუნარობითა თუ გამიზნული პასიურობით და რუსეთის "სამშვიდობო" მისიის მხარდაჭერით ზურგამაგრებული აფხაზები უკვე მერამდენედ უტევენ მათ მიერ მითვისებულ ტერიტორიაზე ისედაც მონობაში მყოფ, უუფლებო ქართველებს.

ოფიციალური ინფორმაცია: "გალის რაიონიდან გამოძევებულია 1500-მდე ქართველი მცხოვრები, ოკუპირებულია რამდენიმე ათეული, არიან გაუპატიურებული, დაჭრილი, დასახიჩრებული ადამიანები"...

შემდეგი ოფიციალური ინფორმაცია: ოთარ ფაცაცია ატარებს თათბირს გერმანიასა და საქართველოს შორის ფეხბურთის მატჩის მომზადების საკითხებზე!

* * *

ნიშანდობლივია, რომ აფხაზთა ეს მორიგი გამამბეა ხდება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის, პავლე გრაჩოვის თბილისში ვიზიტის ფონზე. ორშაბათის ინტერვიუში შევარდნაძემ ეს დამთხვევა ახსნა როგორც რუსეთ-საქართველოს ორის ურთიერთობის დაძაბვისკენ მიმართული პროვოკაცია. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის მიმართ უცვლელი (ანუ, ისედ ვიგულისხმოთ, სტელიტური) რჩება და აღნიშნა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების მოქმედება არ შეესაბამება თავად რუსეთის ინტერესებს.

თუ გავიხსენებთ, ასევე არ შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს გაგრისა და სოხუმის დაცემა, აფხაზეთში ქართველთა გენოციდი, მათი დეპორტაცია და ა. შ. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, რუსეთის ამ ინტერესს ჩვეულებრივ "ჯაბანის" ერთი ოჯახ აფხაზების უძლეველი არმია და თავს ანალი ბედურება გვატყდება ხოლმე.

როგორც ვხედავთ, ოფიციოზი აფხაზების სახით კვლავ ქმნის ყალბ სამიზნეს, რათა ხელი დააფაროს აფხაზეთის ტრაგედიის მთავარ ორგანიზატორსა და შემსრულებელს - რუსეთს. მეორეს მხრივ, ეგზებულად იმოქმედა ერთმანეთისგან რუსეთის ტერტორალური ხელისუფლება და აფხაზეთში დისლოცირებული საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელობა, რომელიც ვითომდაც თვითნებურად მოქმედებს, ალბათ, რეაქციონერთა დაკვეთით და იქნებ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც კი ეწინააღმდეგება.

* * *

პარალელურად ამისა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ წოდებული თ. ნადარეიშვილის ჯგუფი ლტოლვილების დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს მოსკოვში ელცინის აპარატის წარმომადგენლებთან. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა შედეგს უნდა ელოდონ ლტოლვილები.

ამ მოვლენათა ფონზე შევარდნაძის მიერ ორშაბათის ინტერვიუში გაკეთებული განცხადება, რომ რუსეთთან სტრატეგიული სამხედრო შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას, ნიშნავს ძველი, დახრული ძელის გადაგდებას ისედაც დეზორიენტირებულ ლტოლვილებისთვის: ხომ უნდა მიეცეს რაიმე გამართლება რუსეთთან მორიგი სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერას, საქართველოში მისი სტრატეგიული ბაზების სტატუსის განმტკიცებას იმ საშინელებათა ფონზე, რომელსაც ადგილი აქვს აფხაზეთში და რომელშიც უხდება ცხოვრება ასეულ ათასობით დევნილს. ამასთან, უსახლკაროდ დარჩენილ, გაუბედურებულ ხალხსაც ხომ უნდა ჰქონდეს რაღაცის იმედი, ან თუნდაც ილუზია...

ერთი სიტყვით, საქართველოს ოფიციოზი კვლავ ცუდი და კარგი რუსეთის მოდელს სთავაზობს საკუთარი მიწიდან აყრილ ხალხს; ისიც, ახალ ილუზიებს აყოლილი, თხზავს მორიგ პეტიციას რუსეთის "კარგი" ხელისუფლებისადმი და მოითხოვს "ცუდი" გენერლების, ამჯერად იაკუშევის, ალაგმას ან გადაყენებას სამშვიდობო ძალების სარდლობიდან.

"კარგი" გენერალი გრაჩოვი კი თბილისში სამუშაო ვიზიტის დროს აცხადებს, რომ რუსეთის პოზიცია უცვლელი რჩება და იგი კვლავინდებურად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუ გავიხსენებთ ამ აღიარების ფონზე ხელმოწერილი მრავალი სამშვიდობო ხელშეკრულების საკალალო შედეგებს, ა ხლო მომავალში რუსეთისგან მორიგ სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი ჟენევაში

ადამიანის უფლებების ცენტრი

10 მარტი 1995

OFFICE DES NATIONS UNIES A GENÈVE — UNITED NATIONS OFFICE AT GENEVA
CENTRE POUR LES DROITS DE L'HOMME — CENTRE FOR HUMAN RIGHTS

Dear Mr. Gamsakhurdia

I have the honour to inform you that the communication, dated 9 March 1995 (and prior updated correspondence), which you submitted to the Human Rights Committee for consideration under the Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, has been registered as communication No. 627/1995. You are kindly asked to refer to the registration number in any future correspondence.

Pursuant to rule 91 of the Committee's rules of procedure, a copy of the communication has been transmitted to the State party today with the request that any information or observations in respect of the question of admissibility should reach the Committee within two months.

Under rule 86 of the Committee's rules of procedure, the State party has also been requested not to carry out the death sentence against you while your communication is under examination by the Committee.

Any reply received from the State party will be communicated to you in due course to enable you to comment thereon if you so wish.

I note that the complaint which you have submitted is rather summary. It would be helpful if you could provide more detailed information. You are also kindly requested to sign any future correspondence with your signature, or to duly authorize someone to represent you before the Committee.

Yours sincerely,
for Mr. Tarcisio Bertone, SDB
Chief, Communications Branch
Office for Human Rights

(ანალოგიური შინაარსის წერილი მიღებულია პეტრე გელბახიანის სახელზეც).

ძვირფასო ბატონო დოკვაძე,

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ 1995 წლის 9 მარტით დათარიღებული ცნობა, რომელიც თქვენ წარმოუდგინეთ ადამიანის უფლებების კომიტეტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად, რეგისტრირებულია №627/1995 ცნობის სახით. უმორჩილესად გთხოვთ, ყოველი შემდგომი კორესპონდენცია გამოაგზავნოთ რეგისტრაციის ამ ნომერზე.

კომიტეტის პროცედურის 91-ე წესის თანახმად, ცნობის ასლი დღეს გადაეგზავნა სახელმწიფოს მმართველ წრეებს თხოვნით, რომ ნებისმიერ მოსაღებ ინფორმაციას ან ცნობას ამ საკითხთან დაკავშირებით, მოეღწია კომიტეტამდე ორი თვის მანძილზე.

კომიტეტის პროცედურის 86-ე წესის თანახმად, სახელმწიფოს მმართველ წრეებს ასევე ვთხოვთ არ მოიყვანონ სისრულეში სასიკვდილო განაჩენი თქვენს მიმართ, სანამ თქვენი ცნობა განსახილველად აქვს კომიტეტს.

ნებისმიერი პასუხი, რომელსაც მიიღებს სახელმწიფოს მმართველობა, გეცნობებათ დადგენილ ვადაში, რათა საშუალება მოგეცეთ, განიხილოთ შემდეგ, თუ ამის სურვილი გექნებათ.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ფაქტს, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საჩივარი ამომწურავი არ გახლავთ. მეტ დახმარებას გაგიწევდით, თუ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მოგვაწვდით. ასევე უმორჩილესად გთხოვთ, ყოველი შემდგომი კორესპონდენცია დაამოწმოთ თქვენი ხელის მოწერით ან, თუ შესაძლებელი იქნება, წარმოადგინოთ კომიტეტის წინაშე თქვენს მიერ ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით.

გულწრფელად თქვენი
ჯეკობ თ.მიულერი
ცნობათა განყოფილების უფროსი

პროცესი დამთავრდა, ბრძოლა გრძელდება

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დელეგაციებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჰელსინკის ფედერაციისგან

15 მარტი, 1995

საგანგებო მიმართვა საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესის შესახებ

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჰელსინკის ფედერაცია (IHF) შეშფოთებულია წამებისა და უხეში მოპყრობის ფაქტების გამო მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთა ძირეული უფლებები საქართველოში სისხლის სამართლის საქმე №7493810 მიმდინარე პროცესის დროს უგულებელყოფილ იქნა. ორ მსჯავრდებულს პეტრე გელბახიანს და ირაკლი დოკვაძეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

ჩვენ მოვუწოდებთ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მონაწილე ქვეყნებს მკაცრად განსაჯონ წამების ფაქტები და ამ საქმეში არსებული პროცესუალური დარღვევები; მოსთხოვონ საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს თავისი ვალდებულებები ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენციისა და მისი ფაკულტატური ოქმის წინაშე; შეცვალონ უკანონო განაჩენი, ჩაატარონ სამართლიანი ხელახალი პროცესი და გააუქმონ სიკვდილით დასჯა.

ევროგაერთიანების სახელით საფრანგეთის წარმომადგენლის დეკლარაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივ საბჭოს

9 მარტი, 1995

ევროგაერთიანება ვერ იქნება გულგრილი ა.წ. 6 მარტს, ორშაბათს თბილისში ორი ადამიანისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიმართ, ვერც იმ მრავალი უარყოფითი გამოხმაურების მიმართ, რაც ამ განაჩენს მოჰყვა მსოფლიოს ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

ევროგაერთიანება მკაცრად იცავს ადამიანის უფლებებს, კერძოდ, მის ძირითად პრინციპს - სიცოცხლის უფლების ხელშეუხებლობას და შეშფოთებას გამოხატავს იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა ძიება, ხოლო შემდგომში თვით სასამართლო პროცესი, რომელზედაც განსაკუთრებით ირღვეოდა მსჯავრდებულთა დაცვის უფლება.

აქედან გამომდინარე, ევროგაერთიანება სთხოვს ხელმძღვანელობას, რაც შეიძლება მალე მიაწოდოს მუდმივ საბჭოს ყველა საჭირო ინფორმაცია ამ საკითხის გარშემო.

ჩვენ ვიბრძვით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთან, ბატონ თენგიზ ჩაჩავასთან

კორ: - დღეს საქართველოში არაერთგვაროვანი სიტუაციაა. ქვეყანა ქაოსურ მდგომარეობაშია. ყველგან და ყველაფერში განუკითხაობა სუფევს. არც ერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულება თავის ფუნქციას არ ასრულებს. ასეთ ვითარებაში ჩნდება ეჭვი, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა იმ თითქმის ქიმერად ქცეული ინსტიტუტის შენარჩუნებას, რასაც კანონიერი უზენაესი საბჭო ჰქვია.

თენგიზ ჩაჩავა - გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე, მაგრამ მანამდე ერთი მოკლე განცხადება მინდა გავაკეთო. შემთხვევით წავიკითხე პრესაში, რომ თურმე მე, დღეანლობაში მყოფი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, თენგიზ ჩაჩავა ყოფილვარ მიღებული რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წრეებში. ეს, ცხადია, სიცრუეა. სწორედ რუსეთის ხელისუფლება იყო და რჩება იმ მთავარ ძალად, რომელმაც შექმნა საქართველოში ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც შესაძლებელი გახდა საყოველთაო განუკითხაობა. იგი დაინტერესებულია საქართველოში ამგვარი სიტუაციის შენარჩუნებაში. ამიტომ, ბუნებრივია, იგნორირებას უკეთებს ან აშკარად ებრძვის ყველა ძალას, რომელიც პოტენციურად მაინც შემძლეა ამ განუკითხაობის აღკვეთისა. ამ ფონზე "ბრალდება", ან "მხილება" ჩვენი ალიანსისა რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სასაცილოა.

ახლა რაც შეეხება მთავარ საკითხს. სწორედ რომ დღეანდელ ვითარებაში აქვს პრინციპული მნიშვნელობა კანონიერი უზენაესი საბჭოს შენარჩუნებას. სანამ სახელმწიფოს მართავს ხელისუფლება, რომლის მოქმედება აშკარად უპირისპირდება საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, სასიცოცხლოდ აუცილებელია ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც იურიდიულად უფლებამოსილია გააუქმოს ამგვარი მმართველობის უმძიმესი შედეგები. უზენაესი საბჭო არის ერთადერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია მისცეს სამართლებრივი შეფასება დღევანდელი ხელისუფლების ყველა არაკანონიერ, ანტიეროვნულ ქმედებას და ფათილად ცნოს ყველა ხელშეკრულება თუ გარიგება, რომელიც საკართველოს ინტერესების საზიანოდ იქნა მიღწეული.

ამ მიმართულებით საქართველოს უზენაეს საბჭოს უკვე აქვს გადადგმული ნაბიჯები. იმ სესიებზე, რომელებიც პრეზიდენტის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით იქნა მოწვეული დეკემბერში - უკანონოდ არის ცნობილი ყველა სამართლებრივი აქტი ან ხელშეკრულება, რომელიც ხელყოფს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, სახელმწიფოებრივ ინტერესებს. იურიდიული და პოლიტიკური შეფასება აქვს მიცემული იმავითვე დამარცხებისთვის განწირულ ომს აფხაზეთთან, კაპიტულანტურ პოლიტიკურ კურსს სამაჩაბლოსთან მიმართებაში, რუსეთის საოკუპაციო ჯარების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე, 1992 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების გვერდის ავლით და უგულებელყოფით დსთ-ში საქართველოს გაწევრიანებას და სხვა.

ერთი სიტყვით, სანამ არსებობს კანონიერი უზენაესი საბჭო, არსებობს იურიდიული საფუძველი იმისთვის, რომ როცა საქართველო მოისურვებს გათავისუფლებას შევარდნაძის მმართველობის კაბალური შედეგებ[illegible]ნ, მას იურიდიულად გაფორმებული და დაკან[illegible] ჰქონდეს ეს გადაწყვეტილება.

- საქართველოში თითქმის ყოველდღიურად მძიმდება მდგომარეობა: არ ჩანს გამოსავალი აფხაზეთში შექმნილი ურთულესი ვითარებიდან; სახეზეა სრული ეკონომიკური კატასტროფა; მოუგვარებელია სოციალური პრობლემები - იკვეთება პოლიტიკური ვაკუუმი, იგრძნობა, რომ არსებულ ხელისუფლებაში პოლიტიკურ ძალთა ამჟამინდელი განლაგება უძლურია გადაჭრას თუნდაც ერთი პრობლემა მაინც. ასეთ ვითარებაში სულ უფრო ხშირად გაისმის საუბარი იმის შესახებ, რომ ქვეყანას გადაარჩენს დღეს ერთმანეთთან დაპირისპირებული, მაგრამ ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული ძალების გაერთიანება და ერთობლივი ფრონტით მოქმედება, რაც შესაძლებელს გახდის ამ ძალების ქვეყნის სათავეში მოსვლას.

- მთავარია, რის საფუძველზე ხდება გაერთიანება. თუ გაერთიანება მოხდება ერთის მხრივ, დღევანდელი ხელისუფლების და მისი მმართველობის დამანგრეველი შედეგების უკანონოდ ცნობის, ხოლო მეორეს მხრივ, კანონიერი ხელისუფლების აღიარების საფუძველზე, მაშინ ამგვარი გაერთიანება მისაღები იქნება. ნებისმიერ სხვა საფუძველზე გაერთიანება უკანონობის დაკანონებას მოასწავებს, რაც ჩემთვის, როგორც უზენაესი საბჭოს, ანუ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლისთვის პრინციპულად მიუღებელია.

ამგვარად, თუკი გაერთიანება ამ ერთადერთ კანონიერ საფუძველზე მოხდება, კანონიერების აღდგენის პროცედურის სათანადო სამართლებრივი გაფორმების შემდეგ, სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავად დანიშნავს არჩევნებს კონსტიტუციის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, რაიმე სხვა არჩევნებში მონაწილეობის მიღება კიდევ ერთ უკანონობას დაფიქსირებს, მეტიც, ქვეყანას იმ შანსსაც დაკარგვინებს, რომელიც დღეს აქვს - შესაძლებლობას, თუ მოისურვებს, გაემიჯნოს უკანონო რეჟიმის მმართველობის დამანგრეველ რეზულტატებს.

-ზოგიერთი თქვენი ოპონენტის აზრით, საქართველოში ისეთი სიტუაციაა, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას გაუჭირდება ეფექტური მმართველობის განხორციელება; მითუმეტეს ორგანოს, რომელიც თავად არ არის მონოლითური, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ ფუნქციონირებდა და რომელსაც მართვის გამოცდილება ნაკლებად აქვს. მათი თქმით, უზენაესი საბჭოს დაბრუნება ქვეყნის სათავეში მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ გამოიწვევს.

- ხელისუფლებაში მოსვლა თვითმიზანი არ არის. ჩვენ ვსაუბრობთ საკითხის სამართლებრივ და, რაც მთავარია, პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. უზენაესმა საბჭომ დეკემბერში მიიღო კანონი, რომლის თანახმად უკანონოდ ცხადდება ყველა დადგენილება, რომელიც აფერხებს საქართველოს სუვერენიტეტის განხორციელებას. თვით ჩვენი ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებიც უკანონოდ ჩაითვლება, თუ ისინი წინააღმდეგობაში მოვლენ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან. ასე რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ თვითონ განვახორციელებთ ანტიეროვნულ პოლიტიკას, კანონგარეშე გამოვცხადდებით.

ამრიგად, აქ საუბარია არა ცალკეულ პიროვნებაზე ან პიროვნებათა ჯგუფზე, არამედ მაგისტრალურ პოლიტიკაზე.

საქართველოში - საქართველოს იურისდიქცია უნდა განხორციელდეს. ეს არის უმთავრესი. უპირობოდ უნდა დაისვას საკითხი სახელმწიფოდან უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანის შესახებ. სანამ საქართველოს მართავს ძალა, რომლის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება აქ უცხო ჯარების ყოფნაზეა დამოკიდებული, მანამ არც ერთი პრობლემა არ გადაწყდება.

უზენაესი საბჭო, რასაკვირველია, დანიშნავს ახალ არჩევნებს, მაგრამ ვიმეორებ, ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაუქმდება ხელშეკრულება დსთს-თან, სახელმწიფოს დატოვებს უცხო ქვეყნის ჯარი, ამუშავდება კონსტიტუცია.

ჩვენ ვიბრძვით დამოუკიდებლობის აღსადგენად და არა ძალაუფლების მოსაპოვებლად.

- სულ ახლახანს დასრულდა გახმაურებული პოლიტიკური პროცესი "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა" მიმართ. ორ ახალგაზრდას დახვრეტა მიუსაჯეს. თქვენ იურიდიული კომისიის წევრი იყავით. რამდენი ადამიანი დაისაჯა ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს სიკვდილით.

- არც ერთი. ჩვენ ვმუშაობდით იმაზე, რომ დროთა განმავლობაში საერთოდ გაგვეუქმებინა სიკვდილით დასჯა. ამ პროცესზე ბევრს ლაპარაკობენ. უმაგალითო დარღვევებით მიდიოდა გამოძიებაც და სასამართლოც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ადგილი აქვს იურიდიულ ნონსენსს. ტერორიზმისთვის ასამართლებენ ადამიანებს, რომლებიც სამხედრო გადატრიალების შემდეგ კანონიერების აღდგენისთვის იბრძოდნენ. ამგვარ აბსურდს, ალბათ, ანალოგი არა აქვს მსოფლიოში.

- კვლავ არჩევნებს დავუბრუნდეთ. არსებობს აზრი, რომ არჩევნებში ეროვნული ძალების ცალკეული წარმომადგენლების მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბუნებრივად გამოიწვევს სასიკეთო ძვრებს; ეროვნული ძალები შეზღუდავენ დღევანდელ პოლიტიკოსთა ანტიეროვნულ აქტივობას

- ჩემი აზრით, ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნულ და მოწყობილ არჩევნებში ჯანსაღი ძალების გამარჯვების შანსი ნულის ტოლია, რადგან ამჟამინდელ ხელისუფალთ 70 წლიანი გამოცდილება აქვთ ისეთი არჩევნების მოწყობისა, რომელსაც ფაქტობრივად არც ამომრჩეველი სჭირდება, არც საარჩევნო პროცედურა. თუმცა, არ ეძლევიცხავ, მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ თუ უზენაესი საბჭოს რომელიმე წევრი მოინდომებს ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, აუცილებლად მოხვდება პარლამენტში, ერთი ხმაც რომ არ მიიღოს.

ეს იმისთვის გაკეთდება, რომ მოხდეს უზენაესი საბჭოს, ანუ საქართველოში არსებული ერთადერთი ლეგიტიმური ორგანოს დისკრედიტირება, მოხდეს დისკრედიტირება თვით იდეისა კანონიერების აღდგენის მოთხოვნის შესახებ.

ძალთა განლაგება პარლამენტში წინასწარ განსაზღვრული იქნება, თავს ნურავინ მოიტყუებს, რომ შესძლებს იქ ამინდის შეცვლას, გავიხსენოთ 11 ოქტომბრის შედეგები. ერთადერთი, რასაც ეგრეთ წოდებული ეროვნული ძალები მიაღწევენ ამ გზით, იქნება საქართველოს მომავლის დასამარება. ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საშობლოს ბედი, მე აქტიური ბოიკოტისკენ მოვუწოდებ.

ესაუბრა ირაკლი დგებუაძე

რეპრესიები დამოუკიდებელ პრესაზე გრძელდება...

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ ხელმეორედ აღძრა სისხლის სამართლის საქმე გაზეთის "სამრეკლო" მთავარი რედაქტორის ელიზბარ ჯაველიძის მიმართ მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის 1994 წლის 17 დეკემბრის დადგენილებით, მის მიმართ აღძრული საქმე წარმოებით შეწყდა, საქართველოს რესპუბლიკის სსსკ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის მოტივით. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ბატონ ე.ჯაველიძეს.

- რა მიზნით და რატომ აღიძრა საქმე, ამას ვერავინ გეტყვით. ეს უპრეცედენტო შემთხვევა და მსოფლიოში ანალოგი არა აქვს - საქმე ხელმეორედ აღიძრა, როდესაც პირველი ძიების შედეგად, პიროვნების ბრალეულობის საკითხი არ დასტურდება. ეს გახლავთ ერთი პიროვნების ნება - სურვილითა და მითითებით წამოწყებული ამბავი. მოგახსენებთ ამ საქმის მოკლე ისტორიას და ყველაფერი უფრო ნათელი გახდება.

წელიწადი და 6 თვე გახლდით დევნილობაში უკანონობისა და უსამართლობის გამო, ამას საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მასალებიც ადასტურებენ. დამდევდნენ დასაჭერად, ის მოტივით, რომ თითქოს დაკითხვა უნდოდათ, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. გაცემული იყო ჩემი დაპატიმრების სანქცია, არსებული ხელისუფლება ცდილობდა ჩემი ოჯახის ტერორიზებასაც. ჩემი დევნისა და შევიწროვების მიზეზი გახლდათ "სოვიეთ ენციკლოპედიდან" გადმობეჭდილი სტატია, რომელიც შეიცავდა შევარდნაძის მამხილებელ მასალებს. იმდენად, რამდენადაც ჩემს წინააღმდეგ არ არსებობდა სხვა კომპრომატი, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ შეწყვიტა ჩემდამი აღძრული სისხლის



საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა

თბილისის პროკურატურა

სამარლის საქმე. ახლახან შეეიტყვე, რომ ეს საქმე განაახლეს, პროკურატურის ეს უკანონო ქმედება გახლავთ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ უკანონო ხელისუფლების მართვის პრინციპები კანონის და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრინციპებს ეფუძნება. უფრო მეტიც, ეს გახლავთ არსებული ხელისუფლების მიერ წამოწყებული პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურების კამპანია.

ამის მაგალითია გელბახიან - დოკვაძის სასჯელი განაჩენიც. ამ პროცესმა გვაჩვენა, რომ ყველაფერი ზემოდან იმართება, ხოლო სასამართლო აქ მხოლოდ მარიონეტული იერარქიის ერთ-ერთი რგოლია. მას შემდეგ, რაც გაზეთი გამოვიდა და არსებული ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ჩვენ მათთან პოლიტიკურ კომპრომისებს არ ვაპირებთ, კვლავ მოინდომეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ჩემს წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დიდი ალბათობა ჩემი დაპატიმრებისა, "სამრეკლო" მაინც გამოვა, რადგან მისი გამოცემა ერთპიროვნულად ჩემზე არ არის დამოკიდებული.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ საყოველთაო რეპრესიების ფონზე ერთი ან ორი ადამიანის დაპატიმრება არ გახლავთ განსაკუთრებული ტრაგედია, რამეთუ ეს ჩვენი ზნეობრივი სტატუსის და პოლიტიკური ბრძოლის სასარგებლოდ მუშაობს.

დავიცვათ ტაძარი ჩვენი

წელს, მირქმის დღესასწაულზე (15 თებერვალს), ლესელიძის ქუჩაზე, სიონის ახლოს, ჯვრის მამის ტაძრის ეზოში გაიხსნა დიდი ხნის მანძილზე დაკეტილი ეკლესია, რომელიც "ხარების" სახელზე იკურთხა. ჩატარდა ღამისთევის ლოცვა. შემდეგ ერთხელ კიდევ დაყენდა წირვა და... ტაძარი კვლავ დაიკეტა. საქმე ის გახლდათ, რომ ეკლესიის კუთვნილებაზე სომეხმა მორწმუნეებმაც გამოთქვეს პრეტენზია. ვის არ მიმართეს, სად არ იჩივლეს, ერთ დღეს კი ტაძარში მყოფ რამდენიმე მორწმუნესა და მოძღვარს, რომლებიც საკუთარი ხელით აშენებდნენ ეკლესიის კანკელს, მიუვარდნენ, შეურაცხყოფა მიაყენეს და დაპატიმრებითაც კი დაემუქრნენ.

მომხდარ ინციდენტს ესწრებოდნენ სომეხი სამღვდელოების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი ქალბატონი და კიდევ ორმოცდაათიოდე სომეხი ეროვნების მოქალაქე.

საქმეში საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ჩაერია. ჩვენი ვარაუდით, არსებობდა ზეწოლა საპატრიარქოზეც. სომეხ მორწმუნეთა გულშემატკივარნი კომუნისტური ტრადიციის შესაფერისი არგუმენტაციით ცდილობდნენ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, რასაკვირველია, მოძმე სომეხი ხალხის სასარგებლოდ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ძალისხმევის მოუხედავად, "ხარების" ეკლესიას დღეს ბოქლომი ადევს. უკვე ნაკურთხ ტაძარში მართლმორწმუნე ქრისტიანები ვერ შედიან. ტაძრის დახურვა ცოდვაა, მაგრამ თუ ეკლესია, რომლის საკურთხეველში ღირსი შიო მღვიმელის წმიდა ნაწილი ასვენია, ერეტიკოსებს უვარდებათ ხელში (რისი რეალური საშიშროებაც არსებობს), ეს უკვე ორმაგი მკრეხელობაა.

უფლის მიერ ტაძრის კურთხევისას, მას მცველად დადგენილი ჰყავს უფლის ანგელოზი, რომელიც ელის მართლმადიდებელ მლოცველებს და მხოლოდ ერის შეგნებაზეა დამოკიდებული, როდის აღვენებინა ამ ეკლესიაში ლოცვა: "ღმერთო, აცხოვნე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი..."

მართლმორწმუნე ქრისტიანები

მირზა დოლიძე: «სასამართლომ აირჩია ის ჩვენებები, რომელიც ადასტურებდა დანაშაულს»

10 მარტს უზენაესი სასამართლოს შენობაში პრესკონფერენცია გაართა მოსამართლე მირზა დოლიძემ, რომელიც თავმჯდომარეობდა ე.წ. ჩიქოვანის ჭუჭის საქმის სასამართლო კოლეგიას. ამ შეხვედრას, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასამართლო უწყების ხელმძღვანელობა, ვინაიდან შენობის შესასვლელშივე გვამცნეს, რომ დარბაზში არ დაიშვებიან არც სასამართლო პროცესში მონაწილე ადვოკატები, არც იურისტები და არც სხვა დაინტერესებული პირები. ამიტომაც ჩვენს თვალწინ შენობიდან გამოიხმეს პოლიტპატიმარ ირაკლი დოკუაძის ადვოკატი გ.მოსესიანი, პრესკონფერენციაზე დასწრების უფლება არ მისცეს პოლიტპატიმარ ვ. დომუხოვსკის მეუღლესა და მის დამცველს რ.კიკალეიშვილს, სახოგადოებრივ დამცველს გ.ხოშტარიას. კარისკაცები დიდხანს და ყურადღებით ამოწმებდნენ ჟურნალისტების პირადობის მოწმობებს, მეორე ასეთივე შემოწმება გველოდა მესამე სართულის კიბეებთან და შემდეგ კიდევ ერთი გადამოწმება აკრედიტაციის მიღებისას. ჩანს, ესოდენ მკაცრი კონტროლი ფილტრაციასაც ისახავდა მიზნად, ვინაიდან, გაურკვეველი მიზეზებით, პრესკონფერენციაზე არ დაუშვეს ზოგიერთი ჟურნალისტიც - ქ. ქურდოვანიძე, მ. მიხაილოვა და გაზეთ "არჩევანის" რედაქტორი.

პრესკონფერენცია დაიწყო მირზა დოლიძის ვრცელი მოხსენებით, რომელიც ძირითადად განაჩენის დებულებებზე იყო აგებული და თავის მართლების სახეს ატარებდა: იგი, ერთის მხრივ, ამტკიცებდა, რომ სასამართლო ძიების პროცესში არ ჰქონია ადგილი კანონდარღვევებსა და განსასჯელთა უფლებების შელახვას; მეორეს მხრივ, ცდილობდა ჟურნალისტების, ან იქნებ ზემდგომი ინსტანციების დარწმუნებას, რომ სასამართლო პროცესის გაჭიანურება განსასჯელთა და ადვოკატთა შეთქმულების შედეგია და არა სასამართლო კოლეგიის მიერ დაშვებული კანონდარღვევების.

პირველივე კითხვამ, რომელიც შეეხებოდა 1992 წლის 24 თებერვალს სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედების საფუძველზე სიკვდილით დასჯის გაუქმებას, გზაკვალი აურია ისედაც დაბნეულ მ.დოლიძეს და მას უმალ წამოშველა უზენაესი სასამართლოს პრესცენტრის ისედაც ზედმეტად აქტიური ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი. იგი არწმუნებდა ჟურნალისტებს, რომ სახელმწიფო საბჭოს ცნობილი დადგენილება ს/ს კოდექსთან მიმართებაში კონსტიტუციის მუხლების შეჩერების შესახებ მიღებული იქნა 11 ივნისს და ამდენად, ჭიქოვანის ქუჩაზე აფეთქების, ანუ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის 1921 წლის კონსტიტუციის ნორმა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ არ მოქმედებდა. მაგრამ დადგენილებათა ქსეროასლებით შეიარაღებული გაზეთ "მარჯვის" რედაქტორი ბ. ჯავახია ადვილად არ დანებდა და ამცნო სამართლის სპეციალისტებს, რომ დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 17 ივნისს ნომერში და რამდენადაც მასში არ არის მითითებული ამოქმედების ვადა, იგი ძალაში შევიდა მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ. ასე რომ, 1992 წლის 13 ივნისს საქართველოში სიკვდილით დასჯის შუხლი არ მოქმედებდა.

სამართლებრივ ჩიხში მოქცეული მოსამართლის მაგივრად პასუხის გაცემა კვლავ ს. მოლაშვილმა სცადა, მაგრამ ჟურნალისტებმა ამაზე პროტესტი გამოთქვეს. როგორც ჩანს, მ. დოლიძეს არაფერი ჰქონდა სათქმელი, ამიტომაც თავი დაიცვა სრულიად არადამაჯერებელი არგუმენტით - მე თქვენ უკვე გიპასუხეთ - რომელმაც იმდენად აღაშფოთა ჟურნალისტები, რომ ნაწილმა პროტესტის ნიშნად დარბაზიც კი დატოვა.

დარჩენილები კი აშკარად არ აღმოჩდნენ მოგებულნი. მოსამართლე იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა კი საჭიროდ თვლიდა პასუხი გაეცა ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე, დამაკმაყოფილებელ და ამომწურავ პასუხს მაინც არ იძლეოდა. მაგალითად, კითხვაზე - თუკი დ. ჩოგოვაძემ გ.გელბახიანი მართლაც პირადი მოტივით სცემა, როგორც ამას ამტკიცებს ბრალდება და განაჩენი, მაშინ რატომ უგულებელყო სასამართლომ სხვა განსასჯელთა, აგრეთვე "ყვარლის საქმეზე" განსჯილთა ჩვენებები, სადაც ისინი აცხადებენ, რომ ჩვენებების გამოძალვის მიზნით ასევე განიცადეს ფიზიკური ზემოქმედება დ. ჩოგოვაძის მხრიდან - მოსამართლემ მიუგო, რომ ამგვარი ჩვენებები მიზნად ისახავდა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. მან საერთოდ გვერდი აუარა კითხვას, თუ რატომ არ დაინტერესდა სასამართლო, საიდან აქვს მკვლელობისთვის ნასამართლეგ პატიმარ დ. ჩოგოვაძეს საკნების გასაღები.

კითხვაზე, რატომ არ მიეცათ საშუალება განსასჯელებსა და ადვოკატებს გასცნობოდნენ ყვარლის საქმის სასამართლო ძიების მასალებს, მ. დოლიძემ უპასუხა, რომ ეს სრულიად სხვა საქმეა, იგი არ ეხება ჩიქოვანის ჭუჭის საქმეს, ხოლო რაც საჭირო იყო, სასამართლომ გამოაქვეყნა. ეს პასუხი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ადვოკატთა მტკიცებით, სასამართლო კოლეგია ყვარლის საქმის სამსჯავრო ძიების მასალებს აქვეყნებდა ამორჩევით - მხოლოდ იმას, რაც მის ინტერესებს შეესაბამებოდა.

მ. დოლიძის აზრით, არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიების დროს არ ყოფილა დაშვებული ისეთი შეცდომა ან დარღვევა, რომელიც გავლენას მოახდენდა საბოლოო შედეგზე. სწორედ ამ თეზისმა დაბადა რიგი კითხვები, კერძოდ:

- რიგორ მოხდა, რომ ძიების ერთ-ერთი მთავარი მოწმე - ცოლ-ქმარი კაუბები, რომელთაც ვითომდაც მიჰყიდეს წითელი "ზაპოროჟეცი" დოკუაძე-გელბახიანს - ისე გავიდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რომ მათი ადგილსამყოფელიც კი უცნობია და სასამართლომ ამ მოტივით ვერ შეძლო მათგან ჩვენებებების ჩამორთმევა და ამოცნობის ჩატარება. ამაზე მოსამართლემ განაცხადა - დამტკიცებულია, რომ ავტომანქანა ნამდვილად ეკუთვნოდათ კაუბებს, იგი ნამდვილად იქნა გაყიდული და ნამდვილად იდგა ჩიქოვანის ჭუჭაზე. ამგვარი პასუხის შემდეგ კორესპონდენტს ბუნებრივად გაუჩნდა კითხვა - მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ ეს ავტომანქანა მე მეყიდა და ჩიქოვანის ჭუჭაზე დამეყენებინაო? მოსამართლემ ვერაფერი დაუპირისპირა ამ ჰიპოთეზას, მხოლოდ გაკვირვებულმა იკითხა - თქვენ?!

- რატომ არ შეამოწმა და გამოიძია სასამართლომ აფეთქების შემდგომ დღეებში რიგი მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები, სადაც ნათქვამია, რომ ადგილი ჰქონდა არა ერთ, არამედ ორ აფეთქებას, აგრეთვე გაისმოდა ავტომატური იარაღიდან გასროლა; რომ აფეთქებამდე ჯ. იოსელიანისა და თანმხლები მანქანების მოძრაობას ხელოვნურად აფერხებდა ჯერ თეთრი ფერის "ვერსედესი", შემდეგ ამავე ფერის გაზ-29; შემწეულ იქნა "ჟიგულის" მარკის წითელი ავტომანქანა, რომლიდანაც მწოლიარე ადამიანი ისროდა ავატომატიდან; რატომ არ იქნა გამოქვეყნებული ზ. წიკლაურის 1992 წ. 14 აგვისტოსა და ზ. გოგიჩაშვილის 14 ოქტომბრის ჩვენებები. ამ კითხვაზე მოსამართლე მ.დოლიძემ გასცა პასუხი, რომელიც ღირსია შევიდეს მსოფლიო იურისპრუდენციის კურიოზთა საგანჭურში:

"... სასამართლომ აირჩია ის ჩვენებები, რომელიც ადასტურებდა დანაშაულს".

ამდენად, მოსამართლემ თავად დაადასტურა, რომ სასამართლო ირჯებოდა არა ჭეშმარიტების დასადგენად, არამედ განსასჯელთა �ალეულობის დასამტკიცებლად და ამ ინტერესის შესაბამისად ჩვენებებსაც კი არჩევდა.

საბოლოო დარტყმა მ. დოლიძისთვის იყო პოლიტიკური კითხვა:

- განსჯილებს ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მოკვლის მიზნით. რომელ სახელმწიფო ხელისუფლებაზეა ლაპარაკი, როცა აფეთქების მომენტისთვის ქვეყანას მართავდა კანონიერი ხელისუფლებისა და სწორედ სახელმწიფოს ინტერესების დამამხობელი უკანონო სახელმწიფო საბჭო, ან რომელი სახელმწიფო მოღვაწეა ჯ. იოსელიანი, რომელიც ციხეში ივდა სწორედ ბანდიტიზმისთვის და გამოშვებულ იქნა პუტჩისტების მიერ?!

ამ კითხვაზე მოსამართლემ და მისმა პრეს-მდივანმა თითქმის ორ ხმაში უპასუხეს - მას ქართველმა ხალხმა ნდობა გამოუცხადა და პარლამენტში აირჩიაო. ეტყობა, მათ დააავიწყდათ, რომ ეს დიადი მოვლენა ჩიქოვანის ჭუჭაზე აფეთქებიდან ოთხი თვის შემდეგ მოხდა.

დალი გერმანიშვილი

ორი შეკითხვა ადვოკატს

კორ: - ბატონო თენგიზ, დამთავრდა "პრეზიდენტ გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" სასამართლო პროცესი, რომლის განაჩენმაც არავინ დატოვა გულგრილი. იწერება მრავალი მიმართვა, პეტიცია, პროტესტი. აქ შეინიშნება ორი ტენდენცია: ნაწილი მიიჩნევს, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს და დაინიშნოს ხელახალი გამოძიება; მეორე ნაწილი კი სიკვდილმისჯილთა შეწყალებას ითხოვს ხელისუფალთაგან. თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამის თაობაზე?

თენგიზ ნიფარაძე: - თანახმად საქ. რესპ-ის სს საპროტესტო კოდექსის მე-18-ე მუხლისა, "სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი მოვალენი არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის; გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი". ამავე კოდექსის 303-ე მუხლის თანახმად, "სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული. სასამართლო განაჩენი საფუძვლად უდევს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილული იყო სასამართლოს სხდომაზე". აღნიშნული სასამართლო პროცესი ჩატარდა ზემოაღნიშნულ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით. ამასთან, უხეშად იქნა დაღვეული კანონმდებლობა განსასჯელთა დაცვის უფლების შესახებ. სასამართლო სამსჯავრო გამოძიება არასრულყოფილად ჩატარდა და იგი ნაადრევად დამთავრდა. როგორც ადვოკატმა კუტივაძემ თავისი დაცვის სიტყვაში განაცხადა, "არ იქნენ დაკითხულნი სამსჯავრო გამოძიებისას ის პირები, რომელთა ჩვენებასაც ემყარება წინასწარი გამოძიება". მანვე აღნიშნა, რომ სასამართლომ ნაადრევად მოისმინა პროკურორის საბრალდებო სიტყვა. მე ვთვლი, რომ ის, რაც მოხდა, არის უკანონობა და მიმაჩნია, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება არც გამამტყუნებელი და არც გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა. მოცემულ პირობებში მიმაჩნია, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც უნდა მოხდეს სრულყოფილი სასამართლო სამსჯავრო გამოძიება და ამის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება.

კორ: - "პრეზიდენტ გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმემ" დიდი ინტერესი გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოხატა პროტესტი ამ სასამართლო პროცესისა და მის მიერ გამოტანილი განაჩენის გამო. რით ახსნით საერთაშორისო საზოგადოების ასეთ ცხოველ ინტერესს ამ საქმესთან დაკავშირებით?

თენგიზ ნიფარაძე: - როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხსენებული საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესი მიდიოდა სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევებით. ეს ფაქტები იმდენად ცხადია და აღმაშფოთებელი, რომ ძალაუნებურად იწვევს 30-იანი წლების საბჭოური სასამართლო პროცესების ასოციაციას. საბედნიეროდ, ახლა აღარაა ის იზოლაცია, რომელშიც ვიმყოფებოდით 30-იან წლებში. ინფორმაცია ძალზე ადვილად ვრცელდება. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა დამკვირვებლები თუ ჟურნალისტები ჩამოსულნი იყვნენ და ესწრებოდნენ სასამართლო პროცესს. დარღვევები იმდენად უხეში და აშკარა იყო, რომ მათთვის შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. სწორედ ეს დარღვევები გახდა მიზეზი იმ საყოველთაო აღშფოთებისა და შეშფოთებისაც, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" რედაქციას

ქ. ვანში მცხოვრებ მოქალაქეთა

მ ი მ ა რ თ ვ ა

როგორც მთელი რიგი გაზეთებიდან ვგებულობთ, ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის სასამართლო მიმდინარეობდა დანაშაულებრივი დარღვევებით. აქედან გამომდინარე, მათი სიკვდილით დასჯის მოთხოვნა აღშფოთებას იწვევს ყველა ნამდვილი ქართველის გულში.

მოვითხოვთ სამართლიან გამოძიებას, მოვითხოვთ სასამართლო პროცესი ჩატარდეს უცხოელი დამკვირვებლების თანდასწრებით, რაითა სიმართლე არ იქნას ასე უხეშად და ბინძურად გათელილი (თუმცა, ჩვენ იმასაც ვთვლით, რომ ისინი უდანაშაულონი არიან დანარჩენ პოლიტპატიმრებთან ერთად).

1. ნუნუ კორძაძე - მასწავლებელი
2. დალი კორძაძე - პედაგოგი, №1 საშ. სკოლა
3. მამფორია ელენე - პედაგოგი
4. ახობაძე როზა - პედაგოგი, პენსიონერი
5. ბურკაძე დალი - პედაგოგი
6. ბარამიძე ბეგლარი - აგრონომი
7. დიასამიძე ლელა - პედაგოგი
8. გიორგაძე იზო - პედაგოგი
9. შარაშენიძე ნონა - პედაგოგი

სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნას ხმას უერთებენ

ხუსკივაძე ნანა, ქაცარავა თეიმურაზ, გელაშვილი რუსუდან, ჩქარეული მარინე, ღუდუშაური მერი, წიკლაური გია, ხულელიძე მანანა, წიკლაური ვერა, ხულელიძე შალვა, ხულელიძე ციცო, ღუდუშაური ნუნუ, ისაკაძე ნათელა, გუჯარაიძე შოთა, ავსაჯანიშვილი ნათელა, ღუდუშაური ნინო, გიგაური ნუნუ, გიგაური ლალი, ელოშვილი მერი, გიგაური ქეთევანი, გიგაური ელიკო, გიგაური დოდო, გიგაური ნონო, მაისურაძე ნუნუ, გიგაური ნოდარი, გიგაური გივი, ყამარაული მარეხი, გიგაური ვლადიმერი, გიგაური თამარი, გიგაური რევაზი, გიგაური ვანო, გიგაური შალვა, კახიძე ნინო, ოდიშვილი მარინა, ქავთარაშვილი თამარი, ღუდუშაური ნატალია, ხუციშვილი მერი, ოდიშვილი თამარი, ვაჩაძე გელა, ზურაბიშვილი ეთერი, დიდებაშვილი გურამი, ქობულია მედეა, თაბაგარი ასმათი, ქაჩიბაია ვახტანგი, მელანაშვილი მერი, მაჭარაშვილი ფატი, ჩიხლაძე თამარი, ბედანიშვილი ირმა, აღაპიშვილი გენადი, მენაბდიშვილი ნაზიკო, მიქაია ხათუნა, თაბაგარი თინა, სოხაძე ვერა, ჯაგაშვილი ნაზი, ქართველიშვილი თეა, წიკლაური მაია, თიკანაშვილი ლამარა, ქადაგიშვილი ნანა, ახობაძე ცისანა, კალანდია გიორგი, უგულავა მერი, გვიმრაძე გულიკო, ჯმუხაძე თეა, ჯმუხაძე გონა, გვიმრაძე აკაკი, მთიულიშვილი თინა, გაჩეჩილაძე მაია, ბუხრაძე იზოლდა, მაჩაიძე ლაურა, ჩარგეიშვილი მარინე, ეფრემიძე შოთა, ეფრემიძე ქეთევანი, კილაძე ზურაბი, ბოჭორიშვილი ნათელა, ლეკბორაშვილი გიორგი, ცქიტიშვილი თამაზი, ედიშერაშვილი მანანა, გელაშვილი ნათელა, თარხნიშვილი ნაზი, ჯავარაშვილი ლია, ნადირაშვილი ვალერი, ჩარგეიშვილი ლალი, ჩარგეიშვილი მზია, ჩარგეიშვილი სოსო, მჭედლიშვილი მაყვალა, მჭედლიშვილი ელიზბარი, კირაკოსიანი ვლადიმერი, კირაკოსიანი არფენიკა, ბაბუნაშვილი ციალა, გამცემლიძე მერი, გამცემლიძე აკაკი, ჩანტლაძე ჭიჭიკო, თოფურიძე მედეა, ფხოველიშვილი დარეჯანი, ბეგიაშვილი ანა, აღაპიშვილი ხათუნა, აღაპიშვილი მაია, აღაპიშვილი ევგენი, დემურიშვილი ლეილა, ჩხეიძე [illegible]ლალი, კიკაჩეიშვილი მანანა, კიკაჩეიშვილი როლანდი, ლაბაძე ქეთევანი, ცაგარეიშვილი თინა, ლაბაძე ივანე, ჯიმშელაძე მეგი, მდინარაძე ლია, მდინარაძე გურამი, მდინარაძე ნელი, მდინარაძე ვეფხია, ვასილევა ჟანა, ზარიძე ლია, ონიანი ლილი, ტერხაჩატუროვა ეთერი, ივანიძე ვიოლა, ბარამიძე ზაირა, ლოლაძე მეგი, აბურჯანია გოგი, ბელქაწია კახა, გაბედავა რობერტი, კვაჭაძე სერგი, დარჩია მერაბი, ბელქანია რობერტი, ხოფერია თემური, ბელქანია იური, ესართია ვაჟა, ესართია დევიზი, ტულუში ზურაბი, ყორშია მურთაზი, კვარაცხელია მზიური, შენგელია მანანა, ყორშია ნონა, ლეფსაია ლუსია, კილაძე მალხაზი, ივანოვი რომანი, ბერაია ქეთევანი, კაკულია მზისადარი, ჯალაღანია ლუსია, მალანია ლეონინა, ლეჟავა ქეთევანი, გვაზავა მიმოზა, ჩარჩხალია რევაზი, მიქაძე ნაირა, გვალია რომანი, შენგელია მადონა, შენგელია ნანა, გვასალია ზაზა, გაბისონია გენადი, გაბისონია მადონა, გაბისონია ლაშა, იოსავა როლანდი, ხარჩილავა ქეთევანი, ჯორბენაძე ლამზირა, გვაძაბია მადონა, მიქავა ნანი, ბახტაძე მედეა, ფაჩულია მაყვალა, ყორშია ნატაშა, კვარაცხელია ცაბა, ყორშია შოთა, ჭანტურია არკადი, ჯავახია დორა, ღვანია ბადრი, იოსავა ნუგზარი, მილორავა ქეთევანი, კეკუა ლეილა, ჭანტურია მერაბი, გურგენიძე გიზო, გიგიბერია ლავრენტი, კილაძე ჯუმბერი, გიგიბერია თემური, კაჭარავა რომანი, გოგუა მერაბი, ბერაია ბადრი, თოფურია ჯამბული, ჯიჯია ედუარდი, ხოფერია ნუგზარი, ჯიქია როზა, ლატარია მურთაზი, ტყემალაძე ეროული, სოლოგავა ჯუმბერი, გიგიბერია ციური, ბაბუციძე ბელა, ლაშხი დარიკო,ბაბუციძე ედიშერი, ბაბუციძე შოთა, გოჩაშვილი მარინე, ბაბუციძე ლელა, კაკაშვილი ლალი, ბაბუციძე იოსები,ბაბუციძე სალომე, ბაბუციძე ლიზა, ბაბუციძე მზია, ბაბუციძე თამარი, ხუნდაძე ხათუნა, გობეჩია ნანა, ანთაძე ლალი, მეტრეველი ლეილა, გუნცაძე ნანა, აფციაური თინა, ქუთათელაძე ცარო, ლეჟავა ნანა, გურაშვილი დალი, გომელაური რუსუდანი, გოცირიძე გრიგოლი, გობეჯიშვილი ლევანი, ფიჩხაია გურამი, წიქორიძე ანზორი, ოდიშარია მავრა, ოდიშარია სერგი, ოდიშარია მურმანი, შონია ლიზა, წურწუმია ეთერი, ფუთურიძე ზინაიდა, ჯიქია ზამირა, ჯიქია ტატიანა, კვანტალიანი თამარი, რატიანი მზია, გედენიძე თეიმურაზი, თოლორდავა ეუეუნა, კილაბერიძე დათო, კილაბერიძე დიტო, გოგსაძე მანანა, ბრეგაძე მერი, ჟორჟოლაძე თამაზი, ეცადაშვილი ვიოლა.

ჩვენი გაზეთის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ პეტიციას სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნით ხელს აწერს ათიათასობით მოქალაქე. შეძლებისდაგვარად რედაქცია გამოაქვეყნებს მათ გვარებს. ხელმოწერები გრძელდება.

"ჩვენ არ ვაპირებთ თავის მართლებას" - აცხადებს ანზორ ბალუაშვილი

16 მარტს რესპუბლიკის პროკურატურაში გაიმართა პრესკონფერენცია "გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" სასამართლო პროცესის დამთავრებასთან დაკავშირებით, რომელზეც ჟურნალისტთა წინაშე წარდგა ამ საქმის საგამომძიებელი ჯგუფის ხელმძღვანელი, ამჟამად გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, "ჩიქოვანის ქუჩის" სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელი კახა კობერიძე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები - გულბათ ბესიაშვილი და ელდარ თოფჩიევი, მოგვიანებით მათ შეუერთდა გამომძიებელი, "ყვარლის საქმის" სპეციალისტი დავით ჯინჯოლავა.

გენერალური პროკურორის მოადგილის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მას არ დაუღლია დამსწრენი ვრცელი შესავლით, ცდილობდა კეთილმოსურნეობის დემონსტრირებას, ზოგიერთი ჟურნალისტისთვის ქათინაურებიც კი არ დაიშურა, თუმცა, იქვე გამოთქვა საყვედური რამდენიმე გაზეთის მიმართ, შეკითხვებს ითქმის არ გაურბოდა და არც ჟურნალისტებს აწყვეტინებდა სიტყვას, პირიქით, ლამის დატუქსა პროკურატურის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი თეიურ კვირკველია, რომელმაც ქ-ნ რუსუდან კიკალეიშვილი-დიმუხოვსკაიას კითხვის შემდეგ ნაჩქარევად წამოიძახა - მე ვხსნი ამ შეკითხვასო. ერთი სიტყვით, ა. ბალუაშვილი არ მალავდა, რომ მას არაფრის ეშინია და პირდაპირ განაცხადა კიდეც - ჩვენ არ ვაპირებთ თავის მართლებას, რა გვჭირს თავის სამართლებელიო.

ნათელი იყო ისიც, რომ მოსამართლე მ. დოლიძისგან განსხვავებით, ა.ბალუაშვილმა ნამდვილად იცის როგორ უპასუხოს შეკითხვებს, რათა უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, მითუმეტეს ნაკლებად გათვითცნობიერებული დამკვირვებლის თვალში. მიუხედავად ამისა, ძნელია ითქვას, რომ პროკურორის პასუხები უფრო დამაკმაყოფილებელი იყო, ვიდრე მოსამართლისა, ვინაიდან ორივე მალავს სიმართლეს, ორივე ცდილობს გზა-კვალი აუბნიოს აუდიტორიას, ორივე გამოძიების მიერ წინასწარ შემუშავებულ სცენარს მიჰყვება; ოღონდ ერთმა არ იცის როგორ ითამაშოს როლი, მეორე კი - გაწაფულია ამ ხელობაში.

ცხადია, რომ მ. დოლიძის აშკარა ჩავარდნის შემდეგ პროკურატურა და მისი სახით ზოგადად ოფიციოზი დაინტერესებულია გაფანტოს ამ საქმის გაჩენის სამართლიანობის მიმართ საზოგადოებაში აღძრული ეჭვები.

* * *

ა. ბალუაშვილის თქმით, პატიმართა წამების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება რეალურ ფაქტებს და ეს განცხადებები ძირითადად გაკეთებულია სასამართლო პროცესის მსვლელობისას განსასჯელთა მიერ, ბრალდებების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე მათი ადვოკატების მიერ, რომლებსაც მსგავსი პრეტენზიები წინასწარი ძიების პროცესში არ გამოუთქვამთ და, საერთოდ, ამას ამტკიცებენ მხოლოდ დაინტერესებული პირები. ამ კონტექსტში მან მოიხსენია ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციებიც (HRW/H, Amnesty International), რომელთა წარმომადგენლები არ იცნობენ საქმეს და არ შეხვედრიან საგამომძიებლო ჯგუფს.

ა. ბალუშვილს მიაჩნია, რომ ძიება და სასამართლო პროცესი ჩატარდა კანონის სრული დაცვით, ყველა პატიმარს პირველივე წუთიდან ჰყავდა მისთვის სასურველი ადვოკატი, არ ილახებოდა მათი დაცვის უფლებები, ადგილი არ ჰქონია მათზე ზეწოლას, არ დარღვეულა კანონი და ა.შ. "არ არსებობს წინასწარი ძიების დროს გაკეთებული არც ერთი განცხადება, რომელშიც პატიმრები ჩიოდნენ მათი უფლებების დარღვევის გამო. განა შესაძლებელია, რომ მაშინ ეშინოდათ და ამიტომ დუმდნენ, ახლა კი აღარ ეშინიათ?!"- უკვირს გენპროკურორის მოადგილეს.

რუსუდან კიკალეიშვილი-დიმუხოვსკაიას პრეტენზიებს, რომ ადგილი ჰქონდა მისი მეუღლის უფლებების დარღვევას, ა. ბალუაშვილი პასუხობდა თავდაჯერებული სიმშვიდით, ასახელებდა ამა თუ იმ გადაწყვეტილებათა თარიღებს, გარემოებებს. კითხვაზე - რატომ არ იქნა ვ. დიმუხოვსკი დროულად გადაყვანილი წინასწარი პატიმრობის იზოლატორიდან საგამომძიებლო იზოლატორში, მან უპასუხა:

" - იცით, ჩვენ გვინდოდა მისი გადაყვანა, საშუხაროდ, ამ დროს "იბერია-სპექტრმა" ბაქოს გაზეთ "ხერკალო"-დან გადმოგეჭდა დიმუხოვსკის ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს, რომ საქართველო თავს დაესხა აფხაზეთს. "მაგრამ ჩვენ დროულად გავაფრთხილეთ არძინბა და მან შესძლო შესაბამისი წინააღმდეგობა გაეწია". ამან აღშფოთება გამოიწვია იზოლატორში, სადაც ბევრი იყო აფხაზეთში ნაომარი და ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ შესაძლოა, იქ დიმუხოვსკის ფიზიკურად გაუსწორდნენ, ამიტომ აღარ გადავიყვანეთ იზოლატორში".

ბალუაშვილმა განუმარტა დამსწრეთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში არასწორად ესმით უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება, რაც საერთაშორისო გაგებით მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არავინ შეიძლება იყოს გამოცხადებული დამნაშავედ და დასჯილი სასამართლოს გარეშე. მისი აზრით, ეს არ უკრძალავს თავად დანაშაულის გამომძიებელს ესა თუ ის პირი ჩათვალოს მხილებულად დანაშაულის ჩადენაში და გამოვიდეს შესაბამისი განცხადებით. აქედან გამომდინარე, ა. ბალუაშვილს არ მიაჩნია პრეზუმფციის დარღვევად 1992 წლის დეკემბერში, ანუ წინასწარი ძიების დამთავრებამდე რეა თვით ადრე, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება, სადაც ჩიქოვანის ქუჩის საქმეზე ეჭვმიტანილნი უკვე მიჩნეულნი არიან დამნაშავეებად და მათი ბრალეულობა - დამტკიცებულად. გენპროკურორის მოადგილეს არ განუმარტავს, ამ შემთხვევაში ბრალეულობის დასამტკიცებლად რატომ დასჭირდა ძიებას კიდევ რეა თვე (რამეთუ სასამართლოს საქმე გადაეცა მხოლოდ 1993 წლის აგვისტოში), ხოლო სასამართლო პროცესს - წელიწადი და ცხრა თვე.

როგორც ცნობილია, ჩიქოვანის ქუჩაზე აფეთქების საქმე თავიდან აღიძრა საინფორმაციო--სადაზვერვო სამსახურის მიერ და იგი პროკურატურას გადაეცა მხოლოდ 1992 წლის 16 სექტემბერს. მიუხედავად ამისა, ირაკლი დოკუაძე სწორედ ამ თარიღამდე დაკითხულ იქნა პროკურატურის რიგი თანამშრომლების მიერ, რაც კანონით აკრძალულია. ეს საკითხი ა. ბალუაშვილმა შემდეგნაირად განმარტა:

"ი. დოკუაძე დაკავებული იყო პროკურატურის მიერ ყვარლის ტყეში ისე, რომ ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ მის მიმართ არსებობდა ბრალდება ჩიქოვანის ქუჩის საქმეზეც. ჩვენმა გამომძიებლებმა იგი დაკითხეს სწორედ ყვარლის ტყის ეპიზოდთან დაკავშირებით. რიგ პირებს ბრალი ედებოდათ ორივე დანაშაულის მომზადებაში და ამიტომაც გადმოვცა საქმე პროკურატურას, კერძოდ, ჩვენს ჯგუფს."

გაოცებას იწვევს მხოლოდ ის, რომ ყვარელში დაკავებული ი. დოკუაძე პროკურატურამ ასე იოლად დაუთმო ყოფილ სუკ-ს და ისიც, რომ გამოძიების პირველ ეტაპზე, ანუ საქმის პროკურატურისთვის გადაცემამდე მოპოვებული ჩვენებები ან საერთოდ ამოღებულია საქმიდან, ან იგნორირებული ძიებისა და სასამართლოს მიერ. მაგალითად, ჯ. იოსელიანის დაცვის წევრთა და რიგი მოწმეების ჩვენებები. კითხვაზე, თუ როგორ აფასებენ ამ ფაქტს გენპროკურორის მოადგილე და სამმართველოს უფროსი, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა, ა. ბალუაშვილმაც და კ. კობერიძემაც განაცხადეს, რომ ჟურნალისტები მხოლოდ ეპიზოდურად არიან ინფორმირებულნი საქმის დეტალების შესახებ და ამიტომაც ექნებათ ყალბი წარმოდგენა. მან არ უარყო, რომ იოსელიანის დაცვის ერთ-ერთმა წევრმა მართლაც ნახა წითელი "ჟიგული", საიდანაც ისროდა მწოლიარე ადამიანი, მაგრამ ეს იყო სადღაც ტელევიზიის მახლობლად, აფეთქებიდან დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ესინი მივიდნენ "მხედრობის" შეკრებაზე. და შემდეგ უკან, ბოლოს ... [illegible] დღით იოსელიანის სახლთან ნანახი შეარაღებული პირები ედპ-ს დაცვის წევრები აღმოჩნდნენ."

კვლავ ვერაფერი შევიტყვეთ ცოლქმარ კაშუბების შესახებ, რომლებიც პროკურატურის მესვეურთა თქმით, აშკარად სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი არიან და მათი ჩამოყვანა ამიტომ ვერ მოხერხდა.

ვახტანგ გოქსაძის სიკვდილთან დაკავშირებული ძიების შესახებ ა. ბალუაშვილმა განაცხადა, რომ მან გვიან შეიტყო ამის შესახებ, ყვარელში ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც სიკვდილის მიზეზად დაასახელა გულის უკმარისობა, იგი მზად არის გამოიძიოს ეს ფაქტი, მაგრამ ოჯახი უარს აცხადებს საფლავის ეგზეგუმაციაზე. რაც შეეხება რევაზ ბროძელის სიკვდილთან დაკავშირებულ კითხვას, პროკურატურის მესვეურებმა საერთოდ გვერდი აუარეს მას.

კითხვაზე, თუ რას შეიცავს ზ. წიკლაურის 14 აგვისტოს ჩვენება, რომელიც გამოქვეყნებაც მან მოითხოვა განაჩენი დღეს, ვინაიდან მანამდე გაძევებული იყო სასამართლო პროცესიდან, კ. კობერიძემ განაცხადა, რომ ასეთი ჩვენება საქმეში არასოდეს არსებულა და თუკი არსებობდა, წიკლაურს ყოველთვის შეეძლო მოეთხოვა მისი გამოქვეყნება. საქმეში ჩახედულმა ჟურნალისტებმა ამის თაობაზე გამოთქვეს ეჭვი გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო კოლეგია სისტემატურად არ აკმაყოფილებდა ადვოკატებისა და განსასჯელების შუამდგომლობებს, მაგრამ პროკურორები მიიჩნევენ, რომ განსასჯელთა უფლებები აუზღუდეთ; პირიქით, განსასჯელები ზღუდავდნენ სასამართლოს, შეურაცყოფას აყენებდნენ მოსამართლეს, არღვევდნენ წესრიგს და ა.შ.

დაბოლოს, პროკურატურის მესვეურებმა გამოთქვეს მზადყოფნა გააცნონ დაინტერესებულ ჟურნალისტებს ძიების მასალები, რამეთუ სასამართლო დასრულდა და საიდუმლო აღარაფერია. კოლეგებთან საუბრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ახლო მომავალში რამდენიმე ჟურნალისტი, ალბათ, ისარგებლებს ამ შესაძლებლობით.

ანა ჭავჭავაძე

პოლიტპატიმრები საომარი ვითარების კანონით იხვრიტებიან

სასამართლო პროცესი ე. წ. ჩიქოვანის ქუჩის ეპიზოდთან დაკავშირებით დასრულდა. განაჩენი გამოტანილია, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი - როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ - უნდობლობას უცხადებს სასამართლოს და ეს ვითარება იძულებულს ხდის დაინტერესებულ უწყებებს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, დაამტკიცონ მათ მიერ შეთხზული ვერსია. ამდენად, ნათელია, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ უზენაეს სასამართლოსა და პროკურატურაში ჩატარებული ორივე პრესკონფერენცია მიზნად ისახავდა საზოგადოებაზე ზემოქმედებას თავიანთ სასარგებლოდ. რეალურად კი, "მაცნეს" აქტიური პროპაგანდის მიუხედავად, საპირისპირო შედეგი მიიღეს.

უკმარისობის გრძნობას ბადებს უკვე ის გარემოება, რომ მ. დოლიძისა და ა. ბალუაშვილის პასუხები რიგ შეკითხვებზე ფაქტობრივად არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, სიკვდილის განაჩენის შეუსაბამობას 1921 წლის კონსტიტუციასთან, მოსამართლემ არსებითად ვერაფერი დაუპირისპირა, გარდა გადაუმოწმებელი ინფორმაციისა, რომ დადგენილება კონსტიტუციის ამ ნორმის შეჩერების თაობაზე მიღებული იქნა არა 1992 წ. 17 ივნისს, არამედ 11 ივნისს, რაც იქვე იქნა უარყოფილი. ა. ბალუაშვილი ამ კითხვისთვის უფრო მომზადებული აღმოჩნდა და განაცხადა, რომ დადგენილებით კონსტიტუციური ნორმის შეჩერება საერთოდ არ შეიძლება და ამდენად, როდის იქნა მიღებული ეს ბოლო გადაწყვეტილება, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. "განსაკუთრებულ შემთხვევებში სიკვდილით დასჯის უფლებას - თქვა მან - იძლევა თავად 1921 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლი".

1921 წლის კონსტიტუციის ამ მუხლში კი გკითხულობთ:

"ამბოხების ან ომის დროს პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში ან რომელიმე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდგომ მუხლებში: 19, 22, 25 (...) თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავისი პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავისი დადგენილება წარუდგინოს".

მუხლი 19 ამავე კონსტიტუციისა გვაუწყებს, რომ "სიკვდილით დასჯა გაუქმებულია".

ზემოთქმულის საპასუხოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1992 წლის 13 ივნისს, ანუ ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების დღეს, საქართველოში არც ომი იყო და არც ამბოხება (და თუ იყო, მაშინ აღიარონ და შესაბამისი შეფასებაც მისცენ!), რომ არაფერი ვთქვათ პარლამენტის მოწვევის შესაძლებლობაზე, რამეთუ იმხანად არც პარლამენტი არსებობდა და არც სხვა რაიმე ლეგიტიმური ხელისუფლება, სამხედრო საბჭოს მემკვიდრე სახელმწიფო საბჭოს გარდა.

ამასთან, საომარი ვითარების კანონების გამოყენება თუნდაც საგანგებო პირობებში სამართლებრივი ნონსენსია და მას ანალოგია საერთაშორისო პრაქტიკაში არ გააჩნია.

ორივე პრესკონფერენციამ გამოავლინა, რომ გამომძიებლებიც და სასამართლოც დაინტერესებულნი არიან დაფარონ როგორც პატიმართა წამების ფაქტები, ასევე მათი და მოწმეთა რიგი ჩვენებებიც. საოცრალია, რომ ეს ის ჩვენებებია, რომელიც შეიცავს ოფიციოზისთვის არასასურველ მონაცემებს და შესაძლოა ამოტივტივდეს დანაშაულის ახალი ვერსია, იქნებ ახალი გვარებიც კი. ამიტომაც ზოგი მტკიცება საერთოდ გაქრა საქმიდან, ან არ იქნა განხილული სასამართლო პროცესზე. მ. დოლიძეც, ა. ბალუაშვილიც და კ. კობერიძეც ერთხმად ამტკიცებენ, რომ 1992 წ. 14 აგვისტოს ზ. წიკლაურს არავითარი ჩვენება არ მიუცია, ასევე არ არსებობს ზ. გოგიჩაშვილის მიერ იმავე წლის 14 ოქტომბერს მიცემული ჩვენება. ამავე დროს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ 13 აგვისტოს ღამით ზ. წიკლაურმა "ბურგზე შემთხვევით გადაისხა მდულარე ჩაი" და მეორე დღეს მართლაც მისცა ჩვენება საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის გამომძიებლებს, რამეთუ იმხანად საქმე ამ უწყების დაქვემდებარებაში იყო. იმ პერიოდში ამ ფაქტს თავად სახელმწიფო საბჭოს რიგი წევრებიც არ მალავდნენ, მაგრამ დღეს ამის გახსენება არავის სურს.

ასევე დავიწყებას ეძლევა გამოძიების პირველ სტადიაზე მიცემული ჩვენებები, ან ხდება მათი გაუფასურება. მაგალითად, გენპროკურორის მოადგილეს არ გაახსენდა, რომ საეჭვო წითელი "ჟიგულის" არსებობას ადასტურებს არა ერთი, არამედ სამი მოწმე, ამათგან მოქ. ბიჭიაშვილი, რომელიც აფეთქების მომენტში ჩიქოვანის ქუჩაზე მიემართებოდა საკუთარი მანქანით და სხეულის დაზიანებაც კი მიიღო. არ განუმარტავს მას არც ის, თუ რატომ უგულებელყო ძიებამ და სასამართლომ რიგი მოწმეების მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა არა ერთ, არამედ ორ აფეთქებას და რამდენიმე წამის შემდეგ ავტომატური იარაღიდან გასროლაც გაისმა.

ამდენად, ამ კითხვებზე პასუხი ჟურნალისტებმა ვერც პროკურორისგან მიიღეს და, საფიქრალია, მალე ყოველივე ეს მოწმეების კოლექტიური სმენითი ჰალუცინაციებით აიხსნება.

მას არ უთქვამს ისიც, რომ წინა დღეს ჯ. იოსელიანის სახლთან ნანახი შეიარაღებული პირები არ აღმოჩნდნენ ედპ-ს დაცვის წევრები და ეჭვი ამის თაობაზე სწორედ იოსელიანის დაცვამ გამოთქვა. არ იქნა განმარტებული, გამოიკვლია თუ არა ძიებამ თეთრი "მერსედესისა" და გაზ-24-ის მფლობელის, აგრეთვე წინა დღეებში წითელი "ზაპოროუეცის" მახლობლად რიგი მოწმეების მიერ ნანახი უცნობი წვერიანი მამაკაცის ვინაობა. სწორედ ძიების ამგვარი "უყურადღებობა" საფუძველს აძლევს ადვოკატებს ამტკიცონ, რომ საქმე არ გამოძიებულა, არ ყოფილა შესწავლილი სხვა ვერსიები, რომლის ნიშნები აშკარად იკვეთება.

საგულისხმოა, რომ ამ ჩვენებათა ნაწილი მიცემულია გამოძიების იმ ეტაპზე, როდესაც საქმეს ჯერ კიდევ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური იძიებდა. ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა, ხომ არ მიაკვლია ამ უწყებამ ისეთ ფაქტებს, რომელთა კვალის დაფარვასაც ცდილობს პროკურატურა.

ეჭვებს ამძაფრებს ისიც, რომ სასამართლო ძიებისას არ იქნა დაკითხული საკმაოდ ბევრი მოწმე და კოლეგიამ არც იზრუნა მათი გამოცხადების უზრუნველსაყოფად. ა. ბალუაშვილის პასუხი, რომ "ზაპოროუეცის" მფლობელი კაშუბები ამჟამად სხვა ქვეყნის მოქალაქენი არიან და მათი ჩამოყვანა პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ერთის მხრივ, აბათილებს სასამართლოს მოტივს - თითქოს უცნობია მათი მისამართი, მეორეს მხრივ კი, ბადებს კითხვას: ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული საქმისთვის ("სახელმწიფო მოღვაწეთა სიცოცხლის ხელყოფა, დივერსია და ტერორისტული აქტების ჩადენა სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით") რესპუბლიკის პროკურატურას არ შეეძლო ჩამოეყვანა ორი მოწმე სნგ-ს წევრი ნებისმიერი ქვეყნიდან, რომელთანაც არსებული ხელშეკრულება უმჭიდროეს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსია?!

გავიხსენოთ, რომ სწორედ სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან - აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მოხდა სასამართლო პროცესის ორი მონაწილის - ბ. გელბახიანისა და ვ. დიმუხოვსკის მოტაცება, თანაც ისე, რომ ამ ქვეყნის თანხმობა მათ დაკავებაზე არც არსებობდა.

ზ. წიკლაურის სხეულის დაზიანებისა და მასთან 1992 წლის ოქტომბერში უცხოელების ჯგუფის შეხვედრის შესახებ საუბრისას, ა. ბალუაშვილმა დამაჯერებლად აცხადებს: "ზ. წიკლაურს მეც ვიცნობდი - მანამდე არასოდეს მინახავს... უცხოელებიც მე თვითონ წავიყვანე იზოლატორში, თანაც ერთი კაცი კი არ იყო, არამედ მთელი ჯგუფი... შევიყვანე ზ. წიკლაურთან, მაშინ იყავარჯნით დადიოდა, და ოცი წუთით დავტოვე პატიმართან პირისპირ სასაუბროდ."

სულ სხვას ვკითხულობთ ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის ანგარიშში, რომელიც მათ შეადგინეს 1992 წლის 13 ოქტომბერს თბილისის N1 იზოლატორში ზ. წიკლაურის მონახულების შემდეგ:

"მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა, ბატონ წიკლაურთან პირისპირ, ოფიციალურ პირთა გარეშე გვესაუბრა, პროკურორმა ბალუაშვილმა დაჟინებით მოითხოვა ოთახში დარჩენა, თუმცა ორმა სხვა ოფიციალურმა პირმა დატოვა ოთახი. ბალუაშვილი ოთახში ყოფნა, უეჭველია, ზღუდავდა ბატონ წიკლაურის საქციელსა და მის პასუხებს ჩვენს შეკითხვებზე" ("საქართველოში ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის ვიზიტის ანგარიში", "სოვიეთ ერა ლისტ", ტომი, 21, 9-10, აპრილი, 1993).

ყოველივე ეს ბადებს ეჭვს, რომ ძიებაც და სასამართლოც ტენდენციური იყო და ამიტომაც ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ საქმის ხელახალ გამოძიებას სამართლიანი სასამართლოს ჩატარებას. თუმცა, შეეარდნაძისეული მართლმსაჯულების მსახურთა ერთს აზეც აქვთ პასუხი: მათი თქმით, ეს ორგანიზაციები დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ.

ნინო ჩეჩელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მოკლეს ვახტანგ გოქსაძე



სასამართლომ ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა...

დღეს ამ უსამართლობას ყალბი მართლმსაჯულებით ნიღბავენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმეზე" ბრალდებულთაგან ორის - რევაზ ბროძელისა და ვახტანგ გოქსაძის მიმართ სასიკვდილო განაჩენი უკვე აღსრულდა ადვოკატების, გამოძიების, სასამართლოს გარეშე

ვახტანგ ისაკის ძე გოქსაძე, დაბადებული 1945 წლის 27 აპრილს; დაამთავრა ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად, რკინიგზის საღამოს სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, 69-ე სკოლის დირექტორად, ბოლოს 22-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. დაპატიმრებული იქნა ყვარელში 1992 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში და გარდაიცვალა მეტად საეჭვო ვითარებაში, რომლის გარკვევა დღემდე ვერ მოხერხდა, "ყვარლის საქმეზე" განსჯილი პოლიტპატიმრებისა და ოჯახის მოთხოვნის მიუხედავად.

1992 წლის 30 სექტემბერს სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრმა, თენგიზ სიგუამ ტელეგამოსვლაში განაცხადა, რომ ყვარლის ტყეში დაკავებულია ტერორისტული ჯგუფი, მათ შორის მათემატიკის მასწავლებელი, რომლის ვინაობასაც მოგვიანებით დაასახელებდა.

ვახტანგ გოქსაძის ოჯახმა მისი დაპატიმრების შესახებ შეიტყო 1992 წლის 31 აგვისტოს, როდესაც დიდუბის რაიონის მილიციის უფროსის ხელმძღვანელობით ვ. გოქსაძის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა. ამ დროს მეუღლე, ლეილა გიორგის ასული თაქთაქიშვილი სამსახურში იყო და ჩხრეკას ესწრებოდა მოხუცი დედა, 12 წლის ქალიშვილი და ორი მოწმე. მათი თქმით, ჩხრეკა იყო სანქცირებული, მილიციის მუშაკებს არ გამოუჩენიათ აგრესიულობა, ბინაში ვერაფერი აღმოაჩინეს საეჭვო, მხოლოდ წაიღეს ვ. გოქსაძის სამხედრო ბილეთი და სამი ხელნაწერი ფურცელი კალიგრაფიის შესადარებლად.

1 სექტემბერს საინფორმაციო გადაცემაში "მაცნე" (როგორც დღის, ისე საღამოს გამოშვებაში) აჩვენეს ვ. გოქსაძე, რომელსაც მისთვის ჩვეული მეთოდით ტელედაკითხვას უწყობდა კორესპონდენტი ზურაბ კვიტაშვილი. პატიმარს აშკარად ეტყობოდა, რომ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ცოცხალ გვამს ჰგავდა, კბილები ჩამტვრეული ჰქონდა, ძლივს ლაპარაკობდა და ხშირად მიჰქონდა ხელი ტუჩებთან.

იმავე დღეს, 16.00 საათზე გოქსაძეების ოჯახში მოვიდა პროკურატურის გამომძიებელი ბადაშვილი და სთხოვა ლ. თაქთაქიშვილს გაჰყოლოდა ჩვენების მისაცემად. გზაშიც და შემდეგ პროკურატურაშიც იგი ხაზგასმით თავაზიანი ჩანდა. მან ამცნო ლ. თაქთაქიშვილს, რომ იმ დღეით, ანუ 1 სექტემბერს იყო ყვარელში და დაკითხა მისი მეუღლე, თან ხელში ეჭირა ხელნაწერი ფურცლები, რომლებიც გვერდზე გადადო. ლ. თაქთაქიშვილს ეუცხოვა ხელწერა და გამომძიებელს განუცხადა, ნუთუ ჩემი მეუღლე ისეთი ნაცემია, რომ თავისი ხელით ვერ დაწერა ჩვენება? ბადაშვილმა ხელნაწერს საქადალდე დაუფარა და უპასუხოდ დატოვა ეს კითხვა.

გამომძიებლის თხოვნით, ლ. თაქთაქიშვილმა ჩამოაყალიბა თავისი მეუღლის დახასიათება, მაგრამ მხოლოდ შემდეგ, მოგვიანებით გააცნობიერა, რომ საუბარი მიდიოდა წარსულ დროში - "ვახტანგ გოქსაძე იყო..." მან ჰკითხა ბადაშვილს, იქნებ რაიმე სჭირდება, ჩავალ და ჩავუტანო, მაგრამ პასუხად მიიღო - "ნუ ღელავთ, არაფერში არ არის დამნაშავე, გავარკვევთ და სამ დღეში გამოგიშვებთ". მან სახლში მანქანით მიაყვანინა ლ. თაქთაქიშვილი, რათა მას 20.00 საათისთვის მოესწრო პროგრამა "მაცნეს" ნახვა და დამშვიდობებისას უთხრა, თუ რამე დაგჭირდეთ, მომაკითხეთო.

რეალურად კი ამ დროისთვის ვახტანგ გოქსაძე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ყვარელში დაკავებული პოლიტპატიმრების ჩვენებების თანახმად, იგი გარდაიცვალა საკანში 1 სექტემბერს, დილის ათ საათზე. სასტიკი წამების შემდეგ და მას სამედიცინო დახმარებაც კი არ აღმოუჩინეს.

ლ. თაქთაქიშვილმა მეუღლის სიკვდილის შესახებ შეიტყო 3 სექტემბერს, სამსახურში, ქალიშვილის თანაკლასელის მშობელთან ტელეფონით საუბრისას და უმალ გაემართა პროკურატურაში ამბის გასარკვევად. მის კითხვაზე, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ცნობა ვ. გოქსაძის გარდაცვალების თაობაზე, გამომძიებელმა ბადაშვილმა გაოცებით უპასუხა - მე არაფერი ვიცი ამის შესახებ, გავარკვევ და მოგახსენებთო. შემდეგ იგი დაიკარგა ნახევარი საათით. ამასობაში ლ. თაქთაქიშვილი პროკურატურის მისაღებიდან შიდა ტელეფონით შეეცადა მიეღო რაიმე ინფორმაცია, მაგრამ ყველა ერთსა და იმავეს პასუხობდა - არაფერი ვიცით. ნახევარი საათის შემდეგ ბადაშვილი მოვიდა და ტრაგიკული სახით განუცხადა ლ.თაქთაქიშვილს, რომ მისი მეუღლე გარდაცვლილა.

4 სექტემბერს ვ. გოქსაძის სიძე და დისშვილი ჩავიდნენ ყვარელში და სასწრაფო დახმარების მანქანით ჩამოასვენეს ცხედარი. ჩაცმის დროს დისშვილმა შენიშნა, რომ მიცვალებულს დაკაწრული აქონდა ბეჭები და ჰკითხა კახეთის "მხედრიონის" უფროსს გელა გოდერძიშვილს, რატომ აქვს ეს ჭრილობები. გოდერძიშვილმა უპასუხა - გაგვექცა, ხრამში ჩავარდა და დაიმტვრაო. როგორც გამოირკვა, ყვარელელ ექიმს გვამის დათვალიერების შემდეგ, უარი განუცხადებია დასკვნის მიცემაზე, ამიტომ საჭირო გახდა ექიმის ჩამოყვანა თელავიდან, რომელმაც დადგინა, რომ ვ. გოქსაძე გარდაცვლილა გულის უკმარისობის შედეგად. აღსანიშნავია, რომ გარდაცვალების მოწმობაში სიკვდილის თარიღად მითითებულია 1992 წლის 2 სექტემბერი. როგორც ჩანს, ამით პროკურატურა შეეცადა გაემართლებინა ის ნონსენსი, რომ 1 სექტემბერს დილის 6 საათზე გარდაცვლილი ადამიანი გამომძიებელმა დაჰკითხა სამი საათის შემდეგ, 9 საათზე.

ნათესავების თქმით, მიცვალებულს არც ერთი კბილი არ აღმოაჩნდა, ხელის გულები მთლიანად ჩაშავებული ჰქონდა ცემისგან, ცხელ თვალზე დიდი შავი სისხლჩაქცევა ეტყობოდა, თმები სულ დაგლეჯილ(ა)თ (მეუღლე აღნიშნავს, რომ მას ლამაზი თმები ჰქონდა და საგანგებოდაც უვლიდა), ლავიწის ძვალი ისე ჩაუმტვრევიათ, რომ ყელში გაჩხერილი ჰქონდა (პატიმრები ადასტურებენ, რომ ნაწამებს უჭირდა სუნთქვა). გვამი გაუკეთიათ, მაგრამ ბალზამირება არ მოუხდენიათ, ამიტომ დაწყებულიყო ხრწნის პროცესი და საშინელი სუნისგან მეზობლებიც კი ვერ ჩერდებოდნენ სახლში.

ვახტანგ გოქსაძე დაკრძალეს 1992 წლის 8 სექტემბერს.

დაშინებული ოჯახი დიდხანს ვერ ბედავდა სიტყვის დაძვრას ამ საშინელი მკვლელობის თაობაზე. არაფერი უთქვამთ არც მაშინ, როდესაც რესპუბლიკის პროკურატურიდან მიიღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის დ. ჯინჯოლავას მიერ ხელმოწერილი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ "საქმე ვახტანგ ისაკის ძე გოქსაძის მიმართ (...) მ/წლის 9 დეკემბრს შეწყვეტილი იქნა მისი გარდაცვალების მოტივით, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე" (09. 12. 92., N 19-809-92).

ე. წ. ყვარლის საქმის სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა, რომ უსამართლო ძიებას უსამართლო განაჩენი მოჰყვებოდა ლ. თაქთაქიშვილმა შეიტანა საჩივარი პროკურატურაში და მისი მეუღლის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით საქმის აღძვრა მოითხოვა. ამის პასუხად მან მიიღო 1993 წლის 31 მაისით დათარიღებული შემდეგი შინაარსის წერილი:

"მ/წლის 10 მაისის განცხადებაზე რომლითაც თხოულობთ თქვენი აწ გარდაცვლილი მეუღლის ვახტანგ გოქსაძის ბრალდების საქმეზე გამოძიების გაგრძელებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნეს სისხლის სამართლის N 7792809 საქმეზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში მიმდინარე სამსჯავრო გამოძიების დამთავრებისა და სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ" (სტილი და პუნქტუაცია აქ და შემდგომ დაცულია).

დოკუმენტს (N 19-810-93) ხელს აწერს სამართველოს უფროსი ა. ბალუაშვილი.

ყვარლის საქმის სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ლ. თაქთაქიშვილმა, ამჯერად უკვე სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის შუამავლობით, კვლავ მიმართა პროკურატურას მოთხოვნით, რაზედაც ასოციაციის პრეზიდენტმა გ. კერვალიშვილმა 1993 წლის 5 ივლისის თარიღით მიიღო კიდევ უფრო ბუნდოვანი პასუხი, კერძოდ:

"თქვენი მ/წლის 1 ივლისის მომართვაზე, რომლითაც გადმოგზავნილი იქნა მოქ. ლ. თაქთაქიშვილის განცხადება მისი მეუღლის ვახტანგ გოგსაძის სიკვდილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ყვარლის რაიონის პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნა მასალები რისი შესწავლის შემდეგაც მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას და შედეგი გეცნობებათ დამატებით".

დოკუმენტს (N 19-801-93) ხელს კვლავ ა. ბალუაშვილი აწერს და საგულისხმოა, რომ მასში გოქსაძე შეცდომით მოიხსენიება გოგსაძედ.

ამდენად, რესპუბლიკის პროკურატურა თიოქმის ორი წლის მანძილზე სწავლობს გოქსაძის სიკვდილთან დაკავშირებული საქმის მასალებს და ვერავითარ დასკვნამდე ჯერაც ვერ მივიდა. ბუნებრივია, რომ პროკურატურის ასეთი ხიბეჯითისა და კეთილსინდისიერების შემხედვარე ვ. გოქსაძის ოჯახის წევრები უარს აცხადებენ ცხედრის ექსგუმირებაზე და პირდაპირ აცხადებენ:

"თუკი ახლადგარდაცვლილს, კბილებჩამტვრეულს, ნაჭრილობევს ვერ შეამჩნიეს წამების კვალი და სიკვდილის მიზეზად ინფარქტი დაასახელეს, ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ სამი წლის მიცვალებულს ობიექტურ ექსპერტიზას ჩაუტარებენ?!"

რევაზ ბროძელი ტელევიზიაში დააპატიმრეს

1992 წლის 24 ივნისს ტელეანძასთან ნაპოვნი იყო ოთხი პიროვნების ცხედარი, რომლებიც, ოფიციალური ინფორმაციით, მოკლულნი იყვნენ ტელეანძაზე თავდასხმის დროს. მათ შორის - რევაზ გიორგის ძე ბროძელი, შინაგანი ჯარის ოფიცერი. "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმეში" იგი მოიხსენიება როგორც გამსახურდიას ბანდის წევრი და ბრალად ედება გ. მჭედლიშვილთან და ჰ. გელბახიანთან ერთად იარაღის შესყიდვა, მისი გადატანა ყაზბეგის რ-ნის სოფ. სნოდან თბილისამდე

ო. კოჭლამაზაშვილთან, კალმახელიძესა და გ. მახვილაძესთან ერთად, ტერაქტების მომზადება. ამჟამად რ. ბროძელის მიმართ აღძრული ს ს საქმე შეწყვეტილია მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ჩიქოვანის ქუჩის ეპიზოდის სამსჯავრო გამოძიების დროს, 1994 წლის 5-6 დეკემბრის სხდომებზე განსასჯელმა გ. კალმახელიძემ თავის ჩვენებაში მიუთითა, რომ რ. ბროძელი იყო მისი თანამშრომელი შინაგან ჯარში, მონაწილეობდა სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის დაცვაში, ახლოს იცნობდა თ. კიტოვანს, გ. ყარყარაშვილს, გ. ლანჩავას, გ.ყურაშვილს და სხვა სამხედრო პირებს. 1991 წლის 13 დეკემბერს გ. გულუას ხელმძღვანელობით შინაგანი ჯარის პოლკზე თავდასხმის შემდეგ, რ.ბროძელი და გ. კალმახელიძე ავიდნენ თბილისის ზღვაზე და აწარმოებდნენ მოლაპარაკებას თ. კიტოვანთან გატაცებული ტექნიკის დაბრუნების თაობაზე. პუტჩის შემდგომ იგი მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოს დაცვის ოპერაციის მომზადებაში, სხვა მებრძოლებთან ერთად იძიებდა 13 ივნისს გორში რუსეთის სატანკო ნაწილში მომხდარი პროვოკაციის გარემოებებს, ვინაიდან ამ ტრაგიკული ინციდენტის გამო ჩაიშალა მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია სამაჩაბლოში.

გ. კალმახელიძის ჩვენების თანახმად, 1992 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში შსს სამმართველოს წინასწარი პატიმრობის იზოლატორში, საკანში, სადაც მასთან ერთად იჯდა ვინმე მიქავა, შემოიყვანეს პატიმრობაში აყვანილი რ. ბროძელის შვილი. ამ ფაქტს ადასტურებს ასევე განსასჯელი გ. მჭედლიშვილი 1994 წლის 20 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში. მისი თქმით, ბროძელის შვილების დაკავებისა და მის მეუღლეზე ამ გზით ზემოქმედების შესახებ მან შეიტყო თავად ა. ბალუაშვილისგან 1992 წლის 2 ოქტომბრის დაკითხვის დროს.

გ. მჭედლიშვილი ადასტურებს, რომ რ. ბროძელი იყო მისი ახლო მეგობარი, ერთად მსახურობდნენ შინაგან ჯარში, ერთად მისცეს ფიცი საქართველოს პირველ პრეზიდენტს და რჩებოდნენ ამ ფიცის ერთგულნი. ასევე ერთად იყვნენ შესულები ტელედეპარტამენტის შენობაში.

რაც შეეხება რ. ბროძელის სიკვდილის გარემოებებს, გ. მჭედლიშვილმა სასამართლოსთვის მიცემულ ამავე ჩვენებაში განაცხადა:

"24 ივნისს გადაღებულია ტელევიზიაში ჩვენი დაკავების ამსახველი ფირი. იქ ჩანს როგორ ახდენენ ჩვენზე ფიზიკურ ზემოქმედებას. შიგნით ნამდვილი ომი იყო. როცა გამოგვიყვანეს, ჩვენ უკვე პატიმრები ვიყავით. ბროძელი დახვრეტილი იქნა. იგი გაიყვანეს "კუბ"-დან, მასთან ერთად კიდევ ოთხი პიროვნება, და დახვრიტეს".

ფრაგმენტები "დედაქალაქური გუნტების" ისტორიიდან

საქართველოში მომხდარი გადატრიალების მომზადებასა და მის წარმატებით განხორციელებაში პუტჩის ორგანიზატორებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს "ქუჩური", "ქალაქური", "ინტელიგენტური" მოტივების გათამაშებას და მოახერხეს ამ აშკარად ყალბ, პროვინციულ ჰანგებზე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადაწყობა.

უცნაური ის კი არ არის, რა ოლად ეხიერხდა უამრავი ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ დაბადების ან საცხოვრებელი ადგილი მათ მართლაც ანიჭებს რაიმე პრივილეგიას სხვა ადამიანებთან შედარებით, არამედ ის, თუ რა სიხშირით მეორდება სხვადასხვა ეპოქაში, განსხვავებულ პოლიტიკურ თუ ისტორიულ ვითარებაში ერთი და იგივე იდეოლოგიური ფორმა გულუბრყვილო, მიმდინარე მოქალაქეების ოლად სამართავად; მათ მოსატყუებლად და გასაბრიყვებლად; რაც ნიავარია, დიდ სისხლიან დანაშაულში ნასათრევად.

გადავხედოთ თუნდაც დედაქალაქური გუნტებისა და რევოლუციების კლასიკური ქვეყნის - საფრანგეთის ისტორიას.

რეფორმაციის და სამი დიდი რელიგიური ომის პერიოდში პარიზი იქცა ფრანგი კათოლიკების ციტადელად. ვალუას მომაკვდავი დინასტიის მუფლებმა ძალიან არ დაიშურეს ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ტრაგიკული "წმ. ბართლომეს ღამეც" მაგალითია იმ ანტაგონიზმისა, რომელიც ხელოვნურად იქნა ნაღური და გარე მტრების მიერ ჩანერგილი ფრანგი ერის ერთ ნაწილში ერთ მეორეთ ანამემამულეების მიმართ. (ჩვენ ... შეუფდებით არც "კათოლიკობის" და არც "კალვინიზმის" მიმდევრების, ანუ ჰუგენოტების ბრძოლის რელიგიური ასპექტების განხილვას, ვინაიდან ეს სარწმუნებრივი დაპირისპირება ქვეყნის გაერთიანება-ჩამოყალიბების პროცესში უფრო პოლიტიკურ მოტივს წარმოადგენდა, ვიდრე მსოფლმხედველობრივს).

დავიწყოთ იმით, რომ "კათოლიკები" სოციალური შემადგენლობით ჭრელ ფენას შეადგენდნენ, ხოლო ჰუგენოტთა რიგებს ძირითადად პროვინციელი აზნაურები ავსებდნენ.

მთელი ქვეყნიდან აკრეფილი გადასახადები დედაქალაქში მიედინებოდა და ინთქმებოდა სამეფო კარის მიერ წარმოებული ომებისა და მასკარადების ხარჯების დასაფარავად. პროვინციელ წვრილ აზნაურობას, რომელიც ფაქტობრივად ქვეყნის ბურჯს წარმოადგენდა, მხოლოდ ომებში მონაწილეობას სთხოვდნენ, ხოლო ანაზღაურებას ან უგეანებდნენ ან სულაც არ უხდიდნენ. თავისი არსით ეს ყველაზე ეროვნული ფენა, ფაქტობრივად, მოკლებული იყო სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის საშუალებას. ეს ვითარება ბუნებრივად წარმოშობდა უკმაყოფილების ზრდას მოსახლეობაში, რაც გამოხატულებას "დედაქალაქური" ანუ "სამეფო" ცხოვრების წესისგან გაბეზრებაში, მასთან დაპირისპირების სურვილში ჰპოვებდა.

გამოიკვეთა აშკარა პოლიტიკური წინააღმდეგობა, რომელმაც რელიგიური დაპირისპირების სახე მიიღო, მაგრამ თვით ამ რელიგიურ დაპირისპირებაში არსებობდა დამატებითი იდეოლოგიური ნიუანსი. ჰუგენოტების რელიგიური სულისკვეთება ეროვნულ თვითშეგნებას ეფუძნებოდა. იმ დროის ერთ-ერთი კათოლიკე ბერის გაოცებით კითხულობდა: "რატომ უნდა ვხოცო ის ქრისტიანები, რომლებიც იგივე ფსალმუნებს, რომელსაც მე ლათინურად ვგალობ და არაფერი მესმის, ფრანგულად გალობენ"-ო. ამ სიტყვებში აშკარად გამოსჭვივის უბრალო აზნაურის ეროვნული (პროვინციულ-ფაშისტური?) შეგნების პრიმატი მის რელიგიურობაზე. ვალუას დინასტიის ბოლო მეფეები შეგნებულად აღვივებენ რელიგიურ შემწყნარებლობას და ქვეყნის შიგნით აშკარა წინააღმდეგობის დასაძლევად ცდილობენ გვერდით ამოიყენონ მთელი სპექტრი როგორც შინაური, ისე უცხო ქვეყნების პოლიტიკური ძალებისა და რელიგიური თუ სოციალური ფენებისა, კერძოდ:

1. სამეფო კარი. პრივილეგირებული უმაღლესი საგვარეულო, სასულიერო და სამხედრო არისტოკრატია.

2. უცხო ქვეყნები. რომის პაპი, ესპანეთის მეფე, შოტლანდიის დედოფალი მარია სტუარტი.

3. ბანკირები და მევახშეები, რომლთაგან თითქმის ყველა ან იტალიელი ან ებრაელი იყო, ანუ არამკვიდრი ეროვნებისა.

4. რიგი პროვინციებისა, რომელთა ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია. მაგ. ლოტარინგია.

5. დედაქალაქის მოსახლეობა; როგორც არისტოკრატიის და სასულიერო წოდების წარმომადგენლები, ასევე მეწარმეები, ამქრები, ვაჭრები, პლებსი. ზემოდასახელებული ძალებიდან ყველას, საფრანგეთის, როგორც სახელმწიფოს მიმართ თავისი ინტერესები ჰქონდა, ვალდებულებებს კი არავინ იღებდა.

შევეცდებით ცალ-ცალკე დავახასიათოთ თითოეული.

1. სამეფო კარი - მისი ინტერესები უდავოა; ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერი გზით, თუნდაც უცხო ქვეყნის ჯარების მოწვევით, ფარული თუ აშკარა ფინანსური დახმარების მიღებით და ქვეყნის ტერიტორიების გასხვისებით.

2. რომის პაპი - რომელიც საფრანგეთში კალვინიზმის გამარჯვების და ქვეყანაში მტკიცე სამეფო ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში კარგავს მრევლს და, რაც მთავარია, მსუყე ლუკმას.

3. ესპანეთის მეფე - იმ ეპოქის უძლიერესი და უდიდესი იმპერიის მმართველი, რომელსაც უკვე ჰყავს ერთი კონკურენტი ინგლისის სახით და ახალი მეტოქის გაჩენას სიკვდილივით უფრთხის.

3. ბანკირები და მევახშეები, რომელთა ხელშია მთელი ქვეყნის ოქრო, არისტოკრატიის კუთვნილი ქონების მომცველი ფასიანი ქაღალდები. ისინი მართავენ ჩრდილოეთ ეკონომიკას. დედოფალი-დედა ეკატერინე მედიჩი (ქვეყნის ფაქტიური მმართველი) მათი მფარველია. იტალიიდან ჩამოდიან სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები და გარეწრები, რომლებიც ბანკების ოქროთი ზურგგაგრებულები ნელ-ნელა ყიდულობენ პრივილეგიებს, მათ შორის, სამხედრო არისტოკრატიის წოდებებს, გვარებს ფრანგულად იკეთებენ, იღებენ სამეკვიდროდ ფრანგულ მიწებს და ფარისევლურად ფრანგებზე მეტად ფრანგობენ.

ებრაელი მევახშეები, რომელთათვის ქვეყანაში ნებისმიერი არეულობა მხოლოდ ხელსაყრელ ფონს ქმნის გამდიდრებისთვის.

4. ყველაზე მსხვილი პროვინციების მთავრები - ლოტარინგიელი გზები, რომლებიც წარმოშობით გერმანელები არიან, ფაქტობრივად კათოლიკეთა ბელადებს წარმოადგენენ. ისინი მედიჩისთან ერთად მართავენ საფრანგეთს, მაგრამ მზად არიან ყოველ წამს წაგლიჯონ გვირგვინი და სკიპტრა ვალუას და თვითონ მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. მითუმეტეს, რომ დედაქალაქი, სადაც დატრიალდა წმინდა ბართლომეს ტრაგედია, მათი უპირობო გავლენის ქვეშაა.

ყველა ამ განსხვავებული ინტერესის, მოტივის, ენების თავმოყრა პარიზში ხდება. თითოეული დაინტერესებული მხარე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი მოიზიდოს თავისი პოლიტიკური ამოცანის განსახორციელებლად. მაგრამ ისიც კარგად ესმით, რომ ცალკეულად რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური მიზანი არასაკმარისი მნიშვნელობისაა იმისთვის, რომ მოხერხდეს მის გარშემო მოსახლეობის ფართო ფენების დარაზმვა.

ასეთ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი გახდა რელიგიური შეუწყნარებლობის გაღვივება, მაგრამ, როგორც ჩანს, არც "ომი რწმენის გადასარჩენად" აღმოჩნდა საკმარისი ძალის არგუმენტი იმისთვის, რომ მასებში სათანადო ხარისხის გააფთრება გამოეწვია. ამიტომ დაიწყო მეთოდური დანერგვა ანტაგონიზმისა დედაქალაქსა და პროვინციას შორის. უპირობო უპირატესობა თავის სოფელს, პროვინციელ თანამემამულესთან შედარებით გახდა ის მარტივი და უტყუარი პროპაგანდისტული ილეთი, რომელმაც უბრალო ადამიანს მოუხსნა ფსიქოლოგიური ბარიერი თანამოძმის სასიკვდილოდ გასაწირად.

თუნდაც ის რად ღირდა, რომ "წმ. ბართლომეს ღამეს" ნებისმიერ თეთრხელსახვევიან ნაძირალას (თეთრი ხელსახვევი კათოლიკების გამოსაცნობი ნიშანი იყო) უფლება ჰქონდა გაეძარცვა, მოეკლა, გაეუპატიურებინა თავისი თანამემამულე, ჰუგენოტისგან მრწამსის შეცვლა მოეთხოვა იარაღის მუქარის ქვეშ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, მსხვერპლი მეფე ჰენრიხ ნავარელი იყო, პრინცი კონდე, ადმირალი კოლინი თუ უბრალო პაჟი. იმ ღამეს გვამებსაც კი ბილწავდნენ და ძარცვავდნენ მეფის კარის თუ ქუჩის კახპები, ქურდები, ყაჩაღები, მათხოვრებიც. ხოლო თავად მეფე კარლოს IX ლუვრის სასახლის ფანჯრიდან ტყვიას უშენდა თავის ქვეშევრდომებს. დედაქალაქმა დასაჯა პროვინციელი პატრიოტები.

მოგვიანებით ქვეყნის სათავეში ჰუგენოტების ლიდერის, ჰენრიხ მეოთხის მოსვლამ დაადასტურა, რომ ამ სისხლიან დაპირისპირებაში ქვეყნის ტალანტ-ინტერესს პროვინციის ანუ ფერმერი კონსერვატული, ტრადიციული ლირებულებებისკენ მიდრეკილი მხარე გამოხატავდა. ჰენრიხ ნავარელი, ბურბონთა დინასტიის პირველი მეფე, გახდა ფუძემდებელი იმ დიდი პოლიტიკური პროცესისა, რომელმაც საფრანგეთი ევროპის ერთ-ერთ მოწინავე და განათლებულ ქვეყნად აქცია.

თითქმის ყოველი ეპოქისა და ქვეყნის ტირანია ცდილობს ურჩი პროვინციების დასამორჩილებლად დედაქალაქის "ზეპატრიოტულობის" და ამასთან, კოსმოპოლიტიზმის კოზირი გაათამაშოს. ასე იყო ათენში, რომში, პარიზში, მადრიდში და... თბილისშიც. პარიზელებს მობეზრებული ჰქონდათ უკანასკნელი ვალუების განუწყეტელი ორგიები და წაგებული ომები. უკმაყოფილნი იყვნენ საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობით. არც უცხოელთა აღზევებას უცქერდნენ მოწყალე თვალით. ქვეყნის გამთლიანების იდეა მათთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო, მაგრამ ძლიერი ხელისუფლების მოსვლა მოასწავებდა მთელი რიგი უფლებების შეზღუდვას, რომლებიც ქალაქებს ან ადრე ჰქონდათ მინიჭებული, ან საყოველთაო დაცვის ხანაში თვიითონ იპოვეს. ამიტომ დედაქალაქმა უპირობოდ დაუჭირა მხარი ლოტარინგიელ გზებს. ისინი, მართალია, სამეფო გვარისანი არ იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ენათესაებოდნენ სამეფო კარს, მეგობრობდნენ რომის პაპთან და მის კათოლიკურ უდიდებულესობა ესპანეთის მეფესთან. ქვეყანას არა აქვს პური? არა უშავს, ესპანელები მდიდრები არიან და როგორც კეთილი კათოლიკები, არ მიგვატოვებენ; იარაღი დაგვეწირდება? იმასაც უფასოდ მოგვაწვდიან, "ვითომ ფრანგი" ჰუგენოტების წინააღმდეგ; თუ ოქრო დაგვჭირდა, არც იმაზე გვეტყვიან უარს და თუ ძალიან გაგვიჭირდა ჯარსაც მოგვაშველებენ. მერე რა, თუ იმ ურჩ ნავარასა და გასკონიას წაგვარიმეევენ, ჩვენც მოვისვენებთ და ისინიც. სულიერად გაგვიჭირდება? რომის პაპი ბულლას გამოგვიგზავნის; თუ ჰუგენოტებს ქალიან - ბავშვიანად ამოვუჟეავთ, ინდულგენციასაც მოაყოლებს და ა.შ.

აი, ასე იკვლიეთ დიდად კეთილშობილთა და "პატრიოტ მოქალაქეთა" შეგნებაში ერთიანი სახელმწიფოს საკუთარი ძალებით შენახვისა და განმტკიცების იდეა. სამაგიეროდ, ხარობდნენ ლოტარინგიელები, იტალიელები, ესპანელები და სხვები. ყველა, გარდა "ბოგანო" პროვინციელებისა, რომლებიც ფსალმუნების ფრანგულად, ანუ "მდაბიო" ენაზე გალობდნენ.

საფრანგეთის ისტორიის იმ უაღრესად რთულ ეტაპზე ზემოაღნიშნული ძალების წინააღმდეგობა მაინც დაძლეულ იქნა. ფრანგმა პატრიოტებმა - არისტოკრატიამ, სამღვდელოებამ, ღირსეულმა მოქალაქეებმა მაინც სძლიეს მტერს და ფარისევლებს და დიმსახურეს ჭეშმარიტად ღირსული მეფე.

ქვეყნისა და ერის სულიერი და ტერიტორიული ერთობის დამანგრეველი პროცესი დროებით შეჩერებულ იქნა. მაგრამ გაიკლის ნახევარი საუკუნე და ეს ჭირი კვლავ იჩენს თავს. ისევ გარეშე მტრების წაქეზებით და შინაურების ძალაუფლებისა და ეერცხლისმოყვარეობის.

ჯერ კიდევ "წმიდა ბართლომეს ღამის" პერიოდში გიზებმა შექმნეს ე.წ. "პარიზის მოქალაქეთა ლიგა" (სახელიც ფრიად ნიშანდობლივია). ფაქტობრივად ლიგა კოორდინაციას უწევდა დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებს. მათ თავიანთი სულიერი მამამთავარიც ჰყავდათ - კათოლიკე მღვდელი, ვინმე მამა ბოშე. მისი ლოცვა-კურთხევით იკლებდნენ ჰუგენოტებს, არ უშვებდნენ პარიზში ნავარელს, აქეზებდნენ მეფეთა მკვლელობის პოლიტიკურ ოპონენტებთან შეურიგებლობის იდეას თესავდნენ. ქვეყნის ერთიანობისა და კანონიერი მონარქის გამეფების შემდეგ ლიგამ შეწყვიტა არსებობა. თუმცა, მისი იდეები, სულისკვეთება და ბრძოლის მეთოდები არ დავიწყებულა.

ყველა მომდევნო ეპოქაში, როცა მდაბალი პოლიტიკური მიზნების შენიღბვა და მათი მომგებიანად გათამაშება ხდებოდა საჭირო, აღორძინდებოდა უკვდავი მითი ერთ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ერთი ნაწილის უპირატესობის დანარჩენებთან შედარებით, რაც ხდებოდა ქვეყნების "მოქალაქეთა ლიგებს" (კავშირებს, საზოგადოებებს) ანიჭებდა უფლებას განუკითხავად, დაუსჯელობის გარანტიით, სინდისის ქენჯნის გარეშე ეხოცათ თავიანთი თანამემამულენი.

გიორგი აბუსერიძე

„იქავით ქართველები!"

ზვიად გამსახურდია

ჩვენი ერის სამარცხვინო შვილებმა შავი ძილა გაგვითენეს, მეგობრებო, შავი ძილა. არ მოგვსწრებოდა ეს ძილა, მეგობრებო, ქართველმა ქართველზე აღმართა ხელი, ქართველმა ქართველის სისხლი დაღვარა! აი, ამას მოვესწარით, მეგობრებო, ჩვენ. მოდით, ნუთიერი დუმილით პატივი ვცეთ დაღუპულთა ხსოვნას!

ძვირფასო მეგობრებო, ყველა ხედავს, ყველა ხედავს, ვისგან მოდის ეს ყოველივე. ვის სურს ქართველის სისხლის დაღვრა ისევ ქართველის ხელით. ეს იმას სურს, მეგობრებო, ვინც დაინახა, რომ უცხო ჯარით, უცხო ტომით ვერ დაამარცხებს ქართველ ერს. ქართველი ქართველით უნდა დაამარცხო!

ქართველს, როგორც ოდითგან და ისტორიულად ამარცხებდნენ, ისე დღეს სურთ ჩვენი დამარცხება ისევ ქართველით. ეს არ უნდა დავუშვათ, მეგობრებო! ეს არ უნდა დავუშვათ ჩვენ, მეგობრებო.

ის ხალხი, ვინც დაბანაკდა იქ, არც თუ ისე შორს აქედან, გამოდის თბილისის დროშით, ქალაქის დროშით! როგორ, ჩვენ ქალაქელები არა ვართ, იქნებ ჩვენ არაქალაქელნი ვართ და ვართმევთ მათ სამკვიდრებელს, იქნებ ასეა საქმე?!

ვის აძლევს ხელს დაყოს საქართველო რეგიონებად და თბილისელებად, ვის აძლევს ხელს ეს. თვითონ თბილისი რაიონების მოსახლეობისგან არ შედგება?! თვითონ ჩვენ, ჩვენი დედ-მამა რაიონებიდან არ არიან მოსულნი, ვინ არიან თვითონ მათი დედ-მამა, საიდან მობრძანდნენ!

შეიძლება ასე დაბრმავება?! მე მინდა პირველ რიგში თბილისელებს მივმართო, - მარტო აქ მდგომნო კი არა, იქ მდგომნოც, იქ მდგომნო, თქვენც ჩემები ხართ, თქვენზედაც გული მტკივა, თქვენზე ცრემლებს ვღვრი, რომ ასე დაგიბნელდათ თქვენ გონება და მოძმის სისხლი დაღვარეთ დღეს! თქვენ ხართ, თქვენ ხართ ჩვენი საზრუნავი, თქვენ გვებრალებით ყველაზე მეტად გზააბნეულები, რაგორ, ნუთუ ის მიზანი, რასაც თქვენ ისახავთ, შესრულდება?! ვთქვათ, მე გადამაყენეთ, მიაღწევთ იმას, რაზედაც ოცნებობთ; კეთილ ცხოვრებას, პრივილეგიებს?! პირიქით, ქაოსს და კატასტროფას მოიმკით, ქაოსს! რატომ ვერ ხედავთ უბედურნო, დაბრმავებულნო! ქაოსის მეტს არაფერს მოიტანს ეს!

ჩემი ერის სიყვარულით, მშვიდობის დამყარების წყურვილით, მე მართლაც გადავდგებოდი, რომ ვიცოდე, რომ ეს არ დალუპავს ჩემს ერს. მაგრამ ვაი, რომ ამ დაბრმავებულ, გონებადაბნეულ ადამიანებს ეს არ ესმით, არ ესმით და ჰგონიათ ჩემდამი სიძულვილით, ჩემდამი ღვარძლიანი კამპანიით მიაღწევენ თავიანთ სანადელს! ვერ მიაღწევენ ვერაფერს, გარდა კატასტროფისა!

ისევ მოვუხმობ მე მათ, ისევ მოვუხმობ, ისევ თბილისელებს, ვინც თბილისის დროშით გამოდის, ვინც აპყვა იმ ავადსახსენებელი კომუნისტების პროპაგანდას, რომ საქართველო საქართველო კი არ არის, არამედ თბილისია, რუსთავია, ქუთაისია, ზუგდიდია, რომ ზოგი თბილისელია, ზოგი თელაველი, ზუგდიდელი, რომ არ არსებობს ქართველი! აი, რა უნდოდათ, მეგობრებო, კომუნისტებს და ბოლშევიკებს, ამიტომ ამოიღეს მათ სიტყვა ქართველი ხმარებიდან, ამ სიტყვას ისინი არ ხმარობდნენ, მეგობრებო! ჩვენი დიდი სამშობლო, ჩვენი დიდი საბჭოეთი! აი, მათი ტერმინები და თბილისელი, ქუთაისელი, თელაველი. ოდესმე გაგიგონიათ მაგათგან სიტყვა ქართველი?! აი, ვის დუდუკზე, ვის კვალზე მიდიან! გონიერია ასეთი მოქმედება, მეგობრებო?! თბილისელის სახელით არათბილისელს შუბლი გაუხვრიტო?! ეს არის მათი ადამიანობა, ეს არის მათი დემოკრატია?! ეს არის დემოკრატია, რომ გამოასალმეს სიცოცხლეს ჩვენი შესანიშნავი ბიჭები?! უდანაშაულო ბიჭები?!

ეს არის დემოკრატებო, ჰუმანისტებო, ეს არის თქვენი ადამიანობა?! ეს არის თქვენი მაღალი იდეალები?!

ქართველი ერი გაგცემთ პასუხს ყოველივე ამისთვის! მაგრამ, მეგობრებო, მოდით ვეძებოთ გზები ყოველივე ამისგან თავის დაღწევისა, იმ ჩიხიდან, რომელშიც მათ შეგვიყვანეს, უფრო სწორად, თავიანთი თავი შეიყვანეს.

კიდევ ერთხელ მოგინოდებთ, დაყარეთ იარაღი, დაშალეთ ეს ხუნტა, ეს უკანონო შეიარაღებული ფორმირება და ხელს არ გახლებთ, ნაბრძანდით სახლებში, იმუშავეთ, იშრომეთ, იყავით ქართველები, იყავით მოქალაქეები!

მაგრამ ჩვენი მოთმინება უსასრულო არ არის!

